# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 171—172 (192) სამშაბათი, 3 სექტემბერი, 1991 წელი ფასი 15 კაპიკი


## ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტი საქართველოში

**31 აგვისტოს** საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბონსი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი მეუღლითურთ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე მეუღლითურთ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი, უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი, უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი ...





... ვეჟე მეჩეთეს, ... თვითშემოქმედების კონცერტზე მოსწავლეთა სასახლეში.

საქინფორმი.

**სურათებზე:** ამერიკელ კონგრესმენთა ჩამოსვლა საქართველოში.

ზივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან

**2 სექტემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სახელმწიფო რეზიდენციაში მიიღო საქართველოში მყოფი ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარის სემ გიბონსის მეთაურობით.

მიესალმა რა სტუმრებს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო უკვე დიდი ხანია ელოდა ესოდენ საპატიო სტუმრების ვიზიტს, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს საქართ-...

... დენტს გულთბილი მიღებისათვის და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი აქ, საქართველოში, თვალნათლივ დარწმუნდნენ, თუ რამდენად ძლიერია ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ და გამოთქვეს იმედი, რომ იგი შორს აღარ არის. გარდა ამისა, ისინი დიდად დაინტერესდნენ რესპუბლიკის ცხოვრებით, მასში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებით და უწინარეს ყოვლისა, რეჟიმის სტაბილურობით, კერძო საკუთრების საკითხებით, მოქალაქეთა, ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და სხვა თავისუფლებებით.

... დღეებში ცხადი გახდება, დარჩება თუ არა ამ ქვეყნის პრეზიდენტად მიხეილ გორბაჩოვი, გაიმართება თუ არა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მოიპოვებენ თუ არა სრულ სახელმწიფო დამოუკიდებლობას რესპუბლიკები, რომლებსაც არ სურთ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა. შემდეგ პრეზიდენტი დაწვრილებით შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ დაკავებულ პოზიციას იმ რესპუბლიკებს მიმართ, რომლებიც სრულ დამოუკიდებლობას ესწრაფვიან. მან ეს პოზიცია კრიტიკულად შეაფასა, და იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელი კანონმდებლები, მთელი კონგრესი მხარს დაუჭერს რესპუბლიკების თავისუფლებისაკენ სწრაფვას და პრინციპულ პოზიციას დაიკავებს ამ საკითხში.

ამერიკის დელეგაციის წევრებმა მადლობა მოახსენეს პრეზი-...

... საკუთრების შემოღების პერსპექტივები და პრობლემები, ეროვნული უმცირესობებისა და მთლიანად პიროვნებისათვის პოლიტიკური და სხვა თავისუფლებების საკითხები. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სტუმრები დაარწმუნა, რომ საქართველო, მისი კომპეტენტური ორგანოები მთლიანად აკონტროლებენ რესპუბლიკის საზღვრებს იმის მიუხედავად, რომ იქ ჯერჯერობით ოფიციალური საბაჟო პუნქტები არ არსებობს. შეეხო რა საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვის საკითხებს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამასწინათ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც უცხოური კაპიტალის ხელშეუხებლობისა და მეწარმეთა სრული თავისუფალი მოქმედების გარანტიას იძლევა. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკას უკვე ერთი წლის შემდეგ ექნება თავისი ფულადი სისტემა.

დასასრულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ერთგულება წინათ გამოთქმული პრინციპული მოსაზრებისადმი იმის შესახებ, რომ იგი კრემლის ზღურბლს არ გადააბიჯებს მანამდე, სანამ სსრ კავშირი არ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, და ერთხელ კიდევ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებს მხარი დაუჭირონ რესპუბლიკის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

• • •

**შემდეგ** იქვე, სახელმწიფო რეზიდენციის კონფერენცდარბაზში, ამერიკის კონგრესის დელეგაციამ განაგრძო საფუძვლიანი აზრთა გაზიარება და საქართველოს ეკონომიკისა და ცხოვრების სხვა სფეროების გაცნობა. საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი. დეტალურად განიხილეს ეკონომიკისა და ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის პერსპექტივები და შესაძლებლობანი.

საქინფორმი.



**სურათზე:** შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან.

ზივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან

**2 სექტემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა მიიღო ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბონსი.

საუბრის დროს, კერძოდ, გამოითქვა იმედი, რომ სუვერენული საქართველო სულ მალე შეძლებს სრულუფლებიან ეკონომიკურ თანამშრომლობას განთავისუფლებულ რესპუბლიკებთან, მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებთან, განახორციელებს უცხოურ ინვესტიციებს. სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკაში შექმნილი ახლანდელი ეკონომიკური ვითარება, პრივატიზაციის შემუშავებული კონცეფციის ძირითადი მომენტები. აღინიშნა, რომ ცენტრალიზებული ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე მომავალი გადასვლა საშუალებას მოგვცემს კანონიერი კალაპოტით წარვმართოთ ბიზნესი, გავხადოთ იგი ლეგალური, ჩვენდა საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ ჯანსაღი კერძო მეწარმეობის ენერგია, შესაძლებლობები. მაგალითად, მარტო მცირე საწარმოთა რეალიზაციით გათვალისწინებულია დამატებით ჩაებას ბრუნვაში დაახლოებით ათი მილიარდი მანეთი. და საჭიროა მეტი პოლიტიკური სიმშვიდე დასახულ ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელებისათვის.

ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მისმა წევრებმა განაცხადეს, რომ წარმატებებს უსურვებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე არსებულ სიძნელეთა დაძლევაში საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც შეძლებს თვითონ გააკონტროლოს თავისი საზღვრები, განავითაროს ეკონომიკა, იქნება დამოუკიდებელი სუბიექტი ვაჭრობაში, ხელსაყრელად ითანამშრომლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. სტუმრებს უპასუხეს მათთვის საინტერესო მრავალ კითხვაზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

• • •

იმავე დღეს გაიმართა ამერიკის დელეგაციის შეხვედრა რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

საქინფორმი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება

### საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკა ეთანხმება მსოფლიო დემოკრატიული სახელმწიფოების თვალსაზრისს ისეთი ახალი მსოფლიოს მოწყობის შესახებ, სადაც ... დამკვიდრება. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკა გამოთქვამს იმედს, რომ უახლოეს მომავალში გახდება ერთა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევ-... ციპია საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატი და ვაცხადებთ, რომ ეს ნორმები სრულად მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე.

...

დემოკრატიული ქვეყნების შსგავსად, ჩვენც გვსურს ქვეყანად მშვიდობისა და თავისუფლების ... ქართველი ერის სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის უფლებათა დაცვას. ჩვენს პრინ-...

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი,

1991 წლის 20 აგვისტო.

## მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ მურმან ომანიძეს

**თქვენო** აღმატებულებავ!

მაქვს პატივი და სიამოვნება მოგახსენოთ, რომ 1991 წ. 27 აგვისტოს რუმინეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ოფიციალურად ცნოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ხელისუფლებას და მთელ ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალი დაფუძნების ისტორიული აქტი.

რუმინეთის ხელისუფლებამ ამავე დროს განაცხადა თავისი მზადყოფნა, განავითაროს მეგობრული ურთიერთობანი და თანამშრომლობა საქართველოს რესპუბლიკასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.

კერძოდ, რუმინეთი განსაკუთრებით ელის საქართველოს რესპუბლიკასთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთიან ძალისხმევას შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის ზონის შექმნისა და სხვა პროექტების განვითარებაში.

ადრიან ნასტასე,
რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

## საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

### (პუტჩის კრახი საქართველოში)

**გაზეთ** „დრონის" ა. წ. 30 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის თ. სიგუას და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ხოშტარიას წერილები, სადაც ისინი თავისებურად ხსნიან თანამდებობიდან თავიანთი გადაყენების მიზეზებს. პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ მათი განმარტებანი თავით ბოლომდე ყალბია, ...

... არც გლეხს აძლევენ. მოსავლის აღებაში ყაირათიანობის გამოჩენისკენ მოწოდებას თ. სიგუა „განკულაკების" დროინდელ პრაქტიკას ადარებს, რაც აგრეთვე უხეში გაყალბებაა საქმის არსისა.

თ. სიგუა ატყუებს საზოგადოებას თითქოს საქართველოს ხელისუფლება არ აპირებდეს პრივატიზაციას, ...

აბსოლუტური სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს თათარისტანთან რამე პოლიტიკურ ხელშეკრულებაზე ან საქართველოს და თათარისტანის პრეზიდენტების შეხვედრაზე ყოფილიყოს ლაპარაკი. ამის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ არსებობს და ესეც ჩვენი მტრების მიერ გავრცელებული პროვოკაციული მონაჭორია.

... ცა, ნუ ვიჩქარებთ, ამ ალიანსის შესახებ დასკვნას მალე მოგვაწოდებენ საგამოძიებო ორგანოები.

თ. სიგუა და ძმანი მისნი უკვე დიდი ხანია მიზნად ისახავდნენ პრეზიდენტის დისკრედიტაციას, ხალხში მისი ავტორიტეტის შელახვას, რათა საბოლოოდ მისი გადადგომის საკითხი დაეყენებინათ. ...

... არ წარუდგენია მისთვის ოფიციალური ანგარიში უცხოეთში ვიზიტების შესახებ, არ მოუმზადებია პრეზიდენტისთვის ვიზიტი არც ერთ ქვეყანაში და ნიადაგ თავის და თავისი მეუღლის მოგზაურობაზე ზრუნავდა. მაგრამ მთავარზე უმთავრესია ის, რასაც უნებლიედ თავად აღიარებს გ. ხოშტარია: საქართველოს მტერთან, რენეგატ გ. შევარდნაძესთან ურთიერთობა ...

...

... თუ რამდენად მართალია თ. სიგუა ი. მენაღარიშვილის საკითხში, ამას თვით ყოფილი მინისტრის განცხადებიდან შეიტყობთ უახლოეს ხანში, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, მათ სწორედ საპირისპირო მიზნები ჰქონდათ. კომუნისტური მაფია საბოტაჟს უწყობდა პრეზიდენტს და საუკეთესო მოკავშირე სწორედ თ. სიგუაში ჰპოვა, ...

... გატებმა, ალბათ, დროა შეიგნონ, რომ ეს მზე მათთვისაც და იმპერიისთვისაც დიდი ხანია ჩაესვენა.

1991. 31 აგვისტო
საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

**იმასთან** დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით შეჩერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოს კომუნისტური პარტია აიკრძალა და შეწყდა მისი, როგორც ორგანიზაციის, არსებობა და საქმიანობა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაავალა მთავარ სამეურნეო სამმართველოს მიახდინოს ყოფილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის შენობა-ნაგებობათა და მათზე რიცხული ინვენტარისა და ძირითადი ფასეულობათა აღწერა და მიღება, ხოლო ქალაქ თბილისის მერიას, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებს — განახორციელონ ადგილზე ყოფილი რაიონული კომიტეტების ქონების აღწერა და თავიანთ ბალანსზე აყვანა.

**იმასთან** დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით შეჩერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოს კომუნისტური პარტია აიკრძალა და შეწყდა მისი, როგორც ორგანიზაციის, არსებობა და საქმიანობა, პარტიული არქივების დამუშავების, პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლისა და ექსპერტიზის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ბაკურ გულუა** — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), **თამაზ ნიშა** — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ...

... ოანი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, **ჯონი ხეცურიანი** — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, **ვახტანგ რაზმაძე** — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, **ნუგზარ მახარაძე** — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის" უფროსი, **სიმონ ხელაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი.

## სხვა გამოცემებიდან

# შევარდნაძე: სუკის ბნელეთიდან დემოკრატიის ნათელში

**დასავლეთში** გამოცემული ე. შევარდნაძის მემუარები ავტობიოგრაფიის კლასიკური სახეა. სპონტანური გულახდილობა ადამიანისა, რომელიც გორბაჩოვის მარჯვენა ხელი იყო, არ ჰფენს ნათელს ამ რთული პიროვნების ბუნებას. მართლაც, ჩვენს წინაშეა სუკის გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც თავმდაბლობის გამო საზოგადოებაში არ მოიხსენიებს თავის სამხედრო წოდებას და იმ ფაქტს, რომ იგი 60-იანი წლების დამდეგს საქართველოს სუკში მუშაობდა ალექსი ინაურის ხელმძღვანელობით. ეს ის ინაურია, რომელიც სტალინმა 1943 წელს ირანში გაგზავნა ამ უკანასკნელის გასაბჭოების მიზნით.

ამჟამად შევარდნაძე ნაღვლიანად იგონებს თავის მენშევიკ ბიძას, რომელიც ზომიერ სოციალიზმსა და ნაციონალიზმს ემხრობოდა, რაც იმდროინდელ საქართველოში მეტად გავრცელებული განწყობილება იყო. შევარდნაძე სევდით იხსენებს აგრეთვე 1937 წელს დახვრეტილ სიმამრს. მისი საცოლე მზად იყო გაეწირა სიყვარულის გრძნობა, ოღონდ თავისი საქმროსთვის ხელი არ შეეშალა კომკავშირული კარიერის კეთებაში. მაგრამ შევარდნაძის თქმით, მან რაინდულად ამჯობინა საყვარელი პოლიტიკურ გარემოებებს. ეს იქნებოდა მეტად გულისამაჩუყებელი ამბავი, რომ არა ის ფაქტი, რომ შევარდნაძე დღემდე საყვედურით იხსენიებს ხრუშჩოვს, ამ უკანასკნელის ანტისტალინისტური გამოხდომების (პოლიტიკის) გამო, რაშიც იგი (ე. ი. შევარდნაძე) ქართველებისადმი ბიოლოგიური სიძულვილის გამოვლინებას ხედავს. ფაქტობრივად ჩვენი „ძმა“ მიეკუთვნებოდა კომკავშირელთა იმ პლეადას, რომელიც ბორის შელეპინმა აქტიურად მიიზიდა სუკში სამუშაოდ. შელეპინის მიზანი იყო დაესამარებინა ანტისტალინისტური განწყობილებანი და შეემზადებინა საფუძველი ჩინეთთან შერიგებისათვის, რაც ვერ მოხერხდა.

შევარდნაძე ყველა სიტუაციაში უვნებელი რჩებოდა. თავიდან მას ინაური მფარველობდა, რამაც იხსნა იგი 1967 წელს, როცა შელეპინი გააძევეს. მომავალი პოლიტბიუროელი კოლეგის ალიევის წყალობით, რომელიც ირანში ინაურთან ერთად „მოღვაწეობდა“, შევარდნაძე სუკის შეფის ი. ანდროპოვის ნდობით აღჭურვილ პირად იქცა. ამ დროისთვის ანდროპოვი ამზადებდა დარტყმას საქართველოს კომპარტიის უკიდურესად კორუფცირებული მმართველობის წინააღმდეგ. შევარდნაძეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში აყენებენ და ავალებენ მექრთამეობასთან ბრძოლას. ახალგამომცხვარი მინისტრი მალე ართმევს თავს ამ დავალებას, თუმცა ის არ იხევს უკან არაფერზე და მიმართავს პატიმრის წამებასაც კი, რათა მიიღოს მისგან სასურველი ჩვენება. შევარდნაძე ხდება საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ეს ხდება ბრეჟნევის ზეობის პერიოდში. შევარდნაძეს მრავალჯერ უმტკიცებია, ლიბერალი ვარო, მაგრამ ეს გაზვიადებად მოჩანს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეკონომიკაზე ჩამოვარდება სიტყვა.

მაგალითად, ცნობილია, თუ რა საყვედურებით აავსო თავისი სტავროპოლელი კოლეგა მიხეილ გორბაჩოვი, როცა ამ უკანასკნელმა შეიფარა საქართველოში „ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღების“ პროცესში შევარდნაძის მიერ დევნილი ქართველი საქმოსნები.

რაც შეეხება კულტურას, აქ საცნაურია მისი ლიბერალიზმი. კერძოდ, შეიძლება გავიხსენოთ, როგორ ამოუდგა მხარში რეჟისორ თ. აბულაძეს გახმაურებული ფილმის „მონანიების“ გადაღების საქმეში. შევარდნაძე, რომ არა, ამ ფილმის გადაღება, ალბათ, ვერასოდეს ვერ მოხერხდებოდა.

პოლიტიკის სფეროში შევარდნაძეც ახასიათებს მეტად მდაბალი პირმოთნეობა და მლიქვნელობა, ის ემლიქვნელებოდა არა მარტო ბრეჟნევს, არამედ თვით ჩერნენკოსაც, რომელსაც იმ დროისათვის (1984 წ.) არავინ უწევდა ანგარიშს და არც თვლიდნენ მლიქვნელობის „ღირსად“.

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ ორპირმა კაცმა, გორბაჩოვის წყალობით, მოახერხა საბჭოთა რეჟიმის „ფუშედან“ საბჭოთა რეჟიმის „ტალეირანად“ ქცეულიყო.

გორბაჩოვი აფასებდა მის ინტელექტს, თუმცა არ მოსწონდა ხასიათი: ახალმა გენერალურმა მდივანმა ხომ მისცა „სანქცია“ ძველ კოლეგას ჯ. პატიაშვილს შევარდნაძის მიერ თბილისში „გაიმასქნებულ“ საქმეებზე იერიშის მისატანად, როგორც კი ეს უკანასკნელი მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ. იმავდროულად მექრთამეობისთვის დააპატიმრეს შევარდნაძის უახლოესი მეგობარი სოლიკო ხაბეიშვილი. მაგრამ შევარდნაძე არ შემდრკალა. მას არანაირი „კომპლექსი“ არ გასჩენია ქართული აქცენტის გამო. პირიქით, დადგა რა საბჭოთა დიპლომატიის საჭესთან, ენერგიულად შეუდგა საგარეო საქმეთა სამინისტროს „გაწმენდას“ დამყაყებული ბიუროკრატიული ელემენტებისგან. საკუთარი გამბედაობისა და გამჭრიახობის წყალობით კიდევაც შეძლო მნიშვნელოვან პოსტებზე დაეწინაურებინა პროფესიონალი დიპლომატები. კონსერვატორებთან ბრძოლაში გამტკიცდა მისი ალიანსი გორბაჩოვთან.

თავდაპირველად შევარდნაძე გვევლინება გორბაჩოვის ღრმა იდეების განმხორციელებლის როლში, ხოლო შემდეგ უკვე მისი პირადი პოზიცია და ინიციატივაც იჩენს თავს. კერძოდ, გერმანიის გაერთიანების საკითხში და სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ღონისძიებებში. ამან, რასაკვირველია, ბევრი მტერი შესძინა საბჭოთა დიპლომატიის მეთაურს.

მან ისიც მოახერხა, რომ წინასწარ განჭვრიტა მოახლოებული საფრთხე, და ამიტომ ბევრი ახსნა-განმარტების გარეშე გადადგა გასული წლის დეკემბერში. მან მიატოვა გორბაჩოვი. ამავე პერიოდიდან იწყება დაახლოება ელცინთან. რა თქმა უნდა, ამან პოზიტიური გავლენა მოახდინა საერთოდ დემოკრატიის წინსვლაზე, მაგრამ ამ საქციელშიც გამოსჭვივის გამოცდილი პოლიტიკოსის ცივი გონება და ამბიციები. ის მძიმე და საფუძველს მოკლებული ბრალდება, რომლითაც სუკის გენერალმა შევარდნაძემ დაადანაშაულა გორბაჩოვი, მეტყველებს ამ ქართველის ორპირობაზე. ამასთან ერთად მიაქციეთ ყურადღება, რა მლიქვნელურად მიმართა ვითარების ახალ ბატონ-პატრონს ბ. ელცინს. აშკარაა, რომ ზურგის ქარი ისევ შევარდნაძის სასარგებლოდ უბერავს.

**ალექსანდრე ადლერი,**
**„ლიბერასიონი“ (საფრანგეთი), 1991 წ. 22 აგვისტო.**

# ცირეკიძის შეფი და დემოკრატია

**იმპერიის** ყოფილი სატრაპი, სუკ-ის გენერალი, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე სულ უფრო და უფრო ხშირად გვევლინება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ტოგაში. ჩვენ კი, ვისაც გვახსოვს მისი 13-წლიანი დიქტატურა საქართველოში, იოლად ვერ დავიჯერებთ მის ესოდენ რადიკალურ ტრანსფორმაციას. თავის წარსულზე საუბრისას იგი ოქროს ხანად წარმოგვიდგენს თავისი დიქტატურის პერიოდს, რომელმაც თურმე საქართველოს მისცა „აბაშის ექსპერიმენტი“ და სხვა სიკეთენი. ამიტომ ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საქართველოს ციხეებში იმჟამად, რათა ცნობილი გახდეს, თუ რა დემოკრატი და ჰუმანისტი იყო ე. შევარდნაძე და რას უმალავს იგი საზოგადოებას თავისი წარსულის შესახებ.

ასე რომ, ჩვენ ფრანგულ „ლიბერასიონთან“ ერთად ეჭვი გვეპარება, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანის ესოდენ ელვისებური გადასვლა სუკ-ის ბნელეთიდან დემოკრატიის ნათელში.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისაც იმ წლებში მოუწია პატიმრობა, მოგვაწოდოს დამატებითი მასალები საქართველოს ციხეებში პატიმრების „დამუშავების“ მეთოდების შესახებ, რომელთაც უთუოდ გამოვაქვეყნებთ პრესაში.

რამდენადაც შევარდნაძემ უარი გვითხრა ქართველ ჟურნალისტებს ინტერვიუზე ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ შევეცდებით ჩვენივე ძალებით გავცეთ პასუხი ამ საჭირბოროტო შეკითხვებს.

# აგენტის აღსარება

**(პატიმრების წამება საქართველოს სსრ ციხეებში)**
**(შემდგენელი: ზ. გამსახურდია)**

• გადმობეჭდილია თვითგამოცემის ჟურნალიდან „საქართველოს მოამბე“, 1976 წ. № 2.

**1975 წლის** 1-დან 9 აპრილის ჩათვლით ქ. თბილისის კიროვის [illegible]

დასაწყისს და შემდგომ უსიხარულო ცხოვრებას საფუძვლად დაე[illegible]

კიდეც საწადელს: იგი ციხის „ნასედკად“ ანუ ჯაშუშად აქციეს: მინისტრმა ღარიბაშვილმა, ქ. თბილისის მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსმა მამულოვმა, ციხის ოპერმა კიკნაძემ, ოპერმა გოგლიძემ, ქსნის კოლონიის ოპერმა ჯიგენაიამ, გ. ნორაკიძემ.

**მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე აგენტი იყო, ი. ცირეკიძეს სხვა ქურდებთან ერთად 15 წელი მიუსაჯეს. (სასამართლოს თავმჯდომარე — ჯანდიერი).**

შემდგომ იგი არაერთგზის გამოუყენებიათ წინასწარი პატიმრობის განყოფილებაში. 1961 წელს იგი გათავისუფლდა (მოსკოვმა „შეუმცირა“ პატიმრობის ვადა).

შემდეგ კვლავ მოხვდა ციხეში ჩხუბისათვის და ა. შ. მჯდარა სხვადასხვა ციხეებსა და კოლონიებში. არაერთგზის გაქცეულა. იგი აღწერს, თუ როგორ აიძულებდა მას მილიციის უფროსი მამალაძე, ჩაეთრია და აგენტად ექცია საკუთარი ცოლი გულნარა ცირეკიძე და როგორ უთხრა უარი, აღწერს, თუ როგორ არ ასვენებდა მილიცია გარეთ ყოფნისას, გამუდმებით როგორ ითრევდა აგენტურულ მუშაობაში. იგი წერს: კახპა ქალივით ხელიდან ხელში გადავდიოდი, მუშაობას მაიძულებდა ყველა: თბილისის მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსი ს. მამედოვი. მისი მოადგილე გუჩმაზაშვილი, ი. ფიცხელაური, გ. მესხი და სხვები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებიდან: ხ. გაგუა, ვ. თალაკვაძე, კალანდაროვი.

ნაწილ-ნაწილ ვიხლიჩებოდით, მაგრამ რას ვიღებდი სამაგიეროდ? არაფერს, გარდა მწუხარებისა და საყვედურებისა ძირითად სამსახურში, საიდანაც ბოლოს მომხსნეს კიდეც შტატების შემცირების საბაბით. ამასთან, მტრებსაც ბევრს ვიხვეჭდი დამნაშავეებსა და მათ ახლობლებს შორის.

გულწრფელად გითხრათ, მომბეზრდა ამ ჯოჯოხეთური ტანჯვის ატანა, ღამ-ღამობით არ მეძინა და გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როგორ გავცლოდი ამ ხალხს: ისინი ხომ არაფერს ერიდებოდნენ, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ და ჩემი მოსპობაც დიდად არ უღირდათ (მაგრამ თურმე ეს არც ისე ადვილია). ბოლოს ძალა მოვიკრიბე და მტკიცედ გადავწყვიტე ყველასთან და ყველაფერთან მომეთავებინა საქმე. მათ გამოძახებაზე აღარ მივდიოდი, ხოლო როდესაც სახლში მაკითხავდნენ მანქანით, გარეთ ვაგდებდი, შეურაცხყოფდი და უარით ვისტუმრებდი.

ისედაც გაუბედურებულს მალე მე და ჩემს ოჯახს კიდევ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს: აგენტი მელიქოვი შეუჩნდა ჩემი ცოლისდის ვაჟს: იგი სცემდა მას და ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა. 16 წლის ბიჭს, ნოდარ მამულაშვილს იგი ეუბნებოდა, რომ ისევე მოჰკლავდა, როგორც 1963 წელს მისი ბიძა გოგი ანდრიასოვი მოჰკლეს. დაშინებულმა ბავშვმა დახმარებისათვის მე მომმართა და ყველაფერი მიამბო (მილიციასაც ეს სურდა). მე დავინტერესდი, თუ რა იცოდა სერგო მელიქოვმა ჩემი ცოლისძმის, გოგი ანდრიასოვის მკვლელობის შესახებ და მამულაშვილთან და ერთ მეგობართან ერთად წავედი მელიქოვის საძებნელად.

მამულაშვილმა მელიქოვს მოსკოვის პროსპექტზე მიაგნო რესტორან „მოსკოვში“ და გარეთ გამოსვლა სთხოვა. მელიქოვი გამოვიდა და თან ჩანგალი გამოიყოლა, რითაც მამულაშვილს აშინებდა. მოუქნია კიდევაც და ხელი გაუკაწრა. ამასობაში მე მივვარდი და მელიქოვს ჩანგალი გამოვტაცე, მან კი ყვირილი მორთო, თითქოს მე მცემოს. მაშინ ძალით ჩავსვი იგი მანქანაში და გაჩიანისაკენ წავიყვანე. მანქანაში დაკითხვა დავუწყე (იგი ნასვამი იყო) თუ რა იცოდა ანდრიასოვის მკვლელობის შესახებ. მას მეორე ჩანგალიც ჰქონდა ჯიბეში და როდესაც ამოღებას აპირებდა, ვცემე, ხოლო მკვლელობაზე ვერაფერი შევიტყვე. მე დავემუქრე მელიქოვს, რომ თუკი იგი კიდევ არ მოასვენებდა მამულაშვილს, ჩემთან ექნებოდა საქმე.

ნაცემი მელიქოვი მილიციაში გამოცხადდა და განაცხადა, მამულაშვილის ბიძამ გამლახაო. შემდეგ დააპატიმრეს მამულაშვილი, რომელმაც სიმართლე ალიარა, მაგრამ ს. მამედოვის მეთაურობითა და მითითებით საქმე საშინლად გააყალბეს: თითქოს მელიქოვს ცემის შემდეგ მე და ჩემმა ამხანაგებმა 110 მანეთი და საათი წავართვით. მე დამაპატიმრეს, ძიების დროს ოქტომბრის რაიმილიციამ საქმე გადაუგზავნა მუხაშვილსა და ვალიკო ბაკუზოვს. ყველა საქმე ერთდროულად მიჰყავდა 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორს ა. ნოდიას. შემდეგში მელიქოვიც დააპატიმრეს ძარცვისათვის, 152-ე მუხლის მეორე ნაწილი მიუყენეს და 12 წელი მიუსაჯეს.

სახალხო სასამართლომ ბოსტოღანაშვილის თავმჯდომარეობით გამასამართლა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112 მუხლის მეორე ნაწილით და 116 მუხლის პირველი ნაწილით ერთი წელი მომისაჯა, რომელსაც დაემატა პირობითი სასჯელის ერთი წელი. სულ მომისაჯეს ორი წელი მკაცრი რეჟიმით.

კვლავ ციხე, კვლავ ათასნაირი წამება და მუქარა ციხის თანამშრომლების მხრიდან და ისევ დამაწყებინეს აგენტობა.

**თუკი აგენტობაზე უარს განაცხადებ, სპეციალურად „გაგაშიფრავენ“ (პატიმრებს გაუმჟღავნებენ, რომ აგენტი იყავი) და „გაშიფვრის“ შიშით იძულებული ხარ დათანხმდე. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხე გემუქრება. ციხეშიც და კოლონიაშიც ვეხმარებოდი მათ აგენტურულ მუშაობაში.**

სასჯელს ვიხდიდი მე-4, 25-ე, 28-ე, კოლონიებში და ყველგან ვეხმარებოდი ადმინისტრაციას როგორც აგენტი. 1966 წელს მე-4 კოლონიიდან **უშიშროების კომიტეტის შინაგან ციხეში გადამიყვანეს, სადაც აგენტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას მიწევდა აგენტთა შეფი ჟორა გეგელია.**

უშიშროების კომიტეტში ყოფნისას საკანში ვამუშავებდი ობიექტებს: ვალუტით მოვაჭრეებს, ოქროს გადამყიდველებს, ჯაშუშებს, ღვინისა და კონიაკის ფალსიფიკაციის საქმეზე დაპატიმრებულ პირებს. ვმუშაობდი უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებთან: ირაკლი ცინცაძესთან, ჟორა გეგელიასთან და პირადად უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსთან, პოლკოვნიკ ნადირაძესთან.

უშიშროების კომიტეტში მე დავამუშავე: ოქროს გადამყიდველები იბრაჰიმ მამედოვი და მიშა ხელაშვილი, კონიაკის კომბინატის დირექტორი ნ. ნ. რამიშვილი, მეღვინეთა საქმეზე დაპატიმრებული ჰუსეინ ჯაში (ბათუმში), დავარაშვილი, შპიონი თურქი, თათარი და ა. შ. სასჯელის მოხდა დავასრულე ქსნის კოლონიაში და 1967 წლის 24 სექტემბერს გავთავისუფლდი.

მაშინვე ვთხოვე სამსახურში მიღება თბილხილბოსტანვაჭრობის ორგანიზაციას, მაგრამ დირექტორმა ე. ხ. საყვარელიძემ უარი მითხრა: ნაციხარი ხარო. ამის გამო წავლაპარაკდით. ბოლოს სხვების თხოვნით საყვარელიძემ მაინც მიმიღო. მუშაობა დავიწყე ექსპედიტორად. საქხილბოსტანვაჭრობის 26 კომისრის რაიონის განყოფილებაში.

ვცხოვრობდი მშვიდობიანად და არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია. ცოტა ხნის შემდეგ გამომიძახეს ე. თალაკვაძემ და ნ. პერკინმა (მკვლელობის საქმეთა სამძებრო განყოფილება). მე ოპერატიულად და სწრაფად გადავჭერი ისეთი გადაუჭრელი პრობლემა, რისთვისაც მთელი მოსკოვი და საქართველო ფეხზე იდგა: ყველას დავუმტკიცე ჭეშმარიტება მთელი ოჯახის ამოხოცვის შესახებ ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარში. ამ საქმის ირგვლივ თითქმის ყველა აგენტი არასწორ ცნობებს იძლეოდა. თალაკვაძემ ამ საქმის გახსნისათვის პერკინის თანდასწრებით 100 მანეთით დამაჯილდოვა. საერთოდ, ორგანოს მუშაკებთან თანამშრომლობის მთელ მანძილზე ფული იშვიათად მიმიღია, ხელწერილებს კი ფულის მიღებაზე ხშირად მაწერინებდნენ. სამსახურში მუშაობის პარალელურად ვეხმარებოდი ყველას: 26 კომისრის რაიონის სამძებრო განყოფილების უფროსს, განყოფილების თანამშრომლებს: ვოვა მენშიკოვს, აირო გალოიანს, ვალოდია ენუქიძეს, ოთარ ჰანტურიას, უშანგი ჭიჭინაძეს, ჯემი მიქელაძეს. საერთოდ ყველას ვეხმარებოდი, რამდენიც კი შემეძლო. მილიციის მუშაკებმა ნამდვილ აგენტად მაქციეს და ყველაფერში მენდობოდნენ და მიჯერებდნენ. უნდა აღვნიშნო, ბესო ბალავაძესაც ბევრ რამეში დავეხმარებივარ.

მესამე მასივში ვეხმარებოდი გოგი მოწყლიასა და გოგი გაგლოევს, რადგან იქვე ვცხოვრობდი. როგორც აგენტი, მიუხედავად ამისა, ვირიცხებოდი შინაგან საქმეთა სამინისტროში 912-ე ნომრით. არსებობს ისეთი დავალებებიც, რომლებიც ქაღალდზე საერთოდ არ აღინიშნება და აგენტურულადაც არ ფორმდება, რა თქმა უნდა.

წინასწარი გამოძიების საკნებში ხშირად ვეხმარებოდი მიშა გომართელსა და სხვებს. ერთი სიტყვით, ნაწილ-ნაწილ ვიხლიჩებოდი და საქმეების გახსნაში ვეხმარებოდი როგორც სისხლის სამართლის, ასევე „ობეხეესის“ საგამომძიებლო ორგანოებს.

1969 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომიძახა მეოთხე სამძებრო განყოფილების უფროსმა მიშა გაბუნიამ და მთხოვა დავხმარებოდი ციხიდან გაქცეული ბანდიტის რომან (იგივე ნუგზარ) ჭიხვარიას, მეტსახელად „ჭაყოს“ მოძებნაში, რომელიც ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ვორონცოვის ახლომახლო, ისე კი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავიდან იყო. მიშა გაბუნიამ მისი ფოტო მაჩვენა და სიტყვიერადაც აღმიწერა. მივიღე შესაბამისი ინსტრუქცია და მთელი მონდომებით შევუდექი დავალების შესრულებას.

მე მოვახერხე ჭიხვარიას პიროვნების დადგენა და დავუახლოვდი კიდეც მას, მილიციამ მომცა ცეცხლსასროლი იარაღი და ჭიხვარიას თავის მშობლიურ სოფელში, ნაბეღლავში წავყევი, სადაც შევიტყვე ყველა მისი საიდუმლო და დავადგინე ყველა მისი სამალავი. ამის შემდეგ ჩვენ ცალ-ცალკე დავბრუნდით თბილისში. გაბუნიასთან ერთად დავამუშავე ჭიხვარიას დაპატიმრების გეგმა, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მისმა მოადგილემ შ. ბატიაშვილმა, ლ. გ. გაბუნიამ და სხვებმა.

ჭიხვარია და მე ერთად დაგვიჭირეს უკიდურესად მთვრალები (მე იგი სპეციალურად დავათვრე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით). აჰყარეს იარაღი, გაასამართლეს და მკაცრი რეჟიმის ბანაკში მიუსაჯეს თხუთმეტი წლით.

იმ დღიდან გავხდი გაბუნიას თანამშრომელი, მე დავადგინე, აგრეთვე, ბანდიტ გ. თევდორაშვილის არსებობა, რომელიც 17 წელი იმალებოდა, და მილიციას მკვდარი ან საზღვარზე გადასული ეგონა. თევდორაშვილიც ჩემი დახმარებით დააპატიმრეს.

უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ლენინგრადში მიგავლინებთო, მაგრამ მე ამასობაში დამაპატიმრეს, რაც შემდეგნაირად მოხდა. მ. გაბუნია ჭიხვარიას დაპატიმრებისათვის დააწინაურეს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. მისი დავალებით, მივაკვლიე ოქროს გადამყიდველს, სომეხ „მიშკას“, რომელმაც თაჩის მოედანზე 450 გრამი ოქრო მიჰყიდა ვინმე ებრაელ მიშას, რომელიც ცხოვრობს დიღმის ქუჩის შესახვევში, № 6. ეს აზერბაიჯანელი ებრაელი მიშა მუშაობდა ქ. გარდაბნის მაღაზიაში.

ეს ამბავი მ. გაბუნიას შევატყობინე. მან პირადად მიმიყვანა მ. ბალათურიასთან, რომელსაც, როგორც აგენტმა მივაწოდე ცნობა ამის შესახებ და თან აღვნიშნე, რომ ამ საქმეში გარეული არიან თბილისის ლენინის რაიონის მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც ქრთამი აიღეს ზემოხსენებული პირებისაგან და გაუშვეს ისინი. შემდგომში ეს საქმე რატომღაც მიჩქმალეს, რაც მინისტრის მოადგილის, კოვალჩუკისთვისაც არ დარჩენილა გაუგებარი. გაბუნიამ და ბალათურიამ იფიქრეს, რომ კოვალჩუკს მე მოვახსენე ეს ამბავი და რატომღაც გაბრაზდნენ ჩემზე.

„საქხილბოსტანვაჭრობაში“ მუშაობისას დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობდი ისეთ კაცად მიცნობდნენ, რომელიც თავის დღეში არავის გასცემს და ეს მართლაც ასე იყო: „სადაც ვცხოვრობ, იქ სისაძაგლეს არ ჩავდივარ“.

ჩვენი გაერთიანების ყოფილი თანამშრომელი, № 4 მაღაზიის დირექტორი, ვაჟა დათუსანი კარგად მიცნობდა და მენდობოდა. მან ერთხელ მითხრა, რომ ბ. კ. საყვარელიძესთან კომერციული კავშირი ჰქონია თურმე და ერთხელ საყვარელიძემ მისი წილი 200 ათასი მანეთი (ახალი კურსით) მიითვისა თურმე.

(ცირეკიძე ჰყვება, რომ დათუსანს უნდოდა ამ ორასი ათასი მანეთის მიცემა იმ პირისათვის, ვინც საყვარელიძის მოკვლას იკისრებდა. ცირეკიძემ ეს ამბავი გაბუნიას უამბო, რომელმაც დაავალა დათუსანის დამუშავება იმგვარად, რომ როგორმე მისთვის 10 ათასი მანეთი გამოერთმია, მაგრამ დათუსანი წინასწარ არაფერს იძლეოდა და მხოლოდ საყვარელიძის სიკვდილის შემდეგ კისრულობდა მთელი თანხის გადახდას. მაშინ გაბუნიამ დაავალა ცირეკიძეს წასულიყო საყვარელიძესთან და პირადად მისთვის ეამბნა ყველაფერი, რაც ცირეკიძემ შეასრულა. იგი რამდენჯერმე მიაგზავნეს დათუსანთან, მაგრამ იგი ანკესზე არ ეგებოდა).

„მაშინ გაბუნიამ და საყვარელიძემ ეშმაკობას მიმართეს, მეც მომატყუეს და ბრმა იარაღად გამომიყენეს: იმისათვის, რომ ციხეში ჩავესვი, საყვარელიძემ და გაბუნიამ ერთობლივად დამავალეს ინსცენირების მოწყობა, რისთვისაც საყვარელიძე დიდ თანხას და კარგ სამსახურს დამპირდა, მეც დავთანხმდი.

საყვარელიძის კაბინეტში სპეციალურად ავტეხე აურზაური, რაზეც წინასწარვე ვიყავით შეთანხმებული, და ორჯერ გავისროლე პარაბელუმი (იარაღი იმათი იყო).

მე სულელმა არც კი ვიცოდი, რა საქმისათვის მიყენებდნენ: თურმე საყვარელიძეს წინდაწინვე დაურხევია ხმა, რომ მასზე, როგორც პატიოსან თანამშრომელზე, ვიღაც გარეწრებს თავდასხმის მოწყობა და მოკვლა სურთ. (იქამდე, საყვარელიძე ჭანუყვაძესთან და მჟავანაძესთან მეგობრობდა და ეს ყველამ იცის).

ამის შემდეგ ასტეხეს ხმაური, გავრცელდა ხმა, რომ 1970 წლის 2 ივლისს იყო მცდელობა საყვარელიძის მოკვლისა, მე მაშინვე გაბუნიასთან მივედი კაბინეტში (არაერთგზის მისაუბრია აგრეთვე საყვარელიძესთან პირადად და ტელეფონითაც).

მოკლედ რომ ვთქვა, ამ ხალხმა კვლავ გამაცურა: მათ დამარიგეს მეცრუა, რომ მოკვლა კი არ მსურდა, თითქოს საყვარელიძისა და რომ ეს არც ინსცენირება ყოფილა (ამაზე მირჩიეს გაჩუმებულიყავი) და მეთქვა, თითქოს საყვარელიძემ დედა შემაგინა და იმაზე გაბრაზებულმა ვესროლე.

გაბუნიამ უფროსთან შემიყვანა და მე მართლაც სიცრუე ვილაპარაკე, როგორც შეთანხმებულნი ვიყავით. გამოძიებასაც და სასამართლოსაც ყალბი ჩვენებები მივეცი. სიმართლე დავფარე, თითქოს, ეს ინსცენირება კი არა, ნამდვილი ამბავი იყო, რითაც საყვარელიძემ დაამტკიცა, რომ დათუსანი მისი მტერია და მის მოსაკლავად ხალხი მოისყიდა. ამ გზით იგი დროებით გამოძვრა დარჩეული თხილის კომერციის გახმაურებული საქმიდან. მაგრამ შემდეგ საყვარელიძემ ოკამში შემთხვევით ქალი მოკლა, ამას თხილის საქმეც დაემატა და მას ოთხი წელი მიუსაჯეს.

მოვტყუვდი. საყვარელიძე მევედრებოდა, გაჩუმებულიყავი და ათას სიკეთეს მპირდებოდა.

გამასამართლეს 228 მუხლის მესამე ნაწილით და 6 წელი მომისაჯეს.

დაპატიმრების შემდეგ, 1970 წლის 2 ივლისს გადამიყვანეს წინასწარი პატიმრობის საკანში (კპზ), სადაც ნოდიას ყალბი ჩვენება მივეცი. დღე-ღამის შემდეგ გადამიყვანეს № 1 საგამომძიებლო იზოლატორში, კომენდატურაში დამხვდა ლექავა და გამაცნო ოპერი პანფილოვი. ლექავამ მითხრა, რომ მას დაურეკა გაბუნიამ და რომ იგი მიცნობს მე როგორც აგენტს. მომათავსეს № 2 სპეციალური კორპუსის № 43 საკანში. აქვე მინდა აგიხსნათ, თუ რას ნიშნავს სპეციალური კორპუსი.

**№ 2 კორპუსი ციხის მარჯვენა ფრთაზეა და სხვა კორპუსებისაგან იზოლირებულია. იგი დაარსდა 1966* წელს და გამიზნული იყო თავიდანვე მხოლოდ აგენტურული მუშაობისათვის. ძველი კორპუსი გადაკეთდა და ყოველგვარი აპარატურით აღჭურვილი 10 საკანი გაიხსნა. ამ საკნებში მხოლოდ აგენტ პატიმრებსა და მათი საშუალებით დასამუშავებელ ობიექტებს ათავსებდნენ.**

კამერები არ იყო საერთო. მათში მხოლოდ 5-6 კაცს სვამდნენ. კორპუსში შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ უფროს ოპერსა და მის მოადგილეს. იქ შესვლის უფლება რეჟიმის უფროსსაც კი არ ჰქონდა.

მორიგეობდნენ სპეციალურად შერჩეული კონტროლიორები და კორპუსის თანამშრომლები. კონტროლიორებს შორის ოპერ-განყოფილებიდან მიმაგრებულნი იყვნენ სპეციალური კონტროლიორები, რომელთაც ოპერების დავალებით პატიმართა წერილები მიჰქონდათ მათ ახლობლებთან და ამნაირად ხსნიდნენ საქმეებს.

ეს კონტროლიორები იყვნენ: შოთა გოგიევი, ვოვა იაშვილი, ვალერი მელიქიანი, საშა ლხინაძე, იუზა ჯანგიანი, გოდერძი გოდერძიშვილი, მათი მეშვეობით ოპერატიული განყოფილება პატიმართა ნათესავებთან ამყარებდა კავშირს.

როდესაც დავასკვენი, რომ სპეციალურ კორპუსში იმიტომ ვიყავი მოყვანილი, რომ აგენტურულად დავემუშავებინეთ, რათა სიმართლე დამეფარა, და რომ გაბუნიასა და საყვარელიძის მსხვერპლი გავხდი, 1970 წლის 21ივნისს დავწვი პირადი ნივთები და გადავწყვიტე თავი დამეწვა, მაგრამ გადამარჩინეს და შიშველი გამომიყვანეს ცეცხლიდან, შემდეგ ჩამაცვეს სხვისი (დახვრეტილის) ტანსაცმელი, და რადგან განვაცხადე, რომ დამნაშავენი საყვარელიძე და გაბუნიაა-მეთქი, იმ დღესვე შინაგან ციხეში გადამიყვანეს, რათა არ მეყვედა.

ციხეში მიყვანისთანავე იქ დამხვდა ოდიშელი, მესაუბრა, დახმარებას დამპირდა თავადაც და საყვარელიძის პირითაც. მაცდუნა ამგვარად და ჩამსვა აგენტურულად დასამუშავებელ ობიექტ ოთარ კიტრაძესთან № 4 საკანში.

კიტრაძე დავამუშავე, ყველაფერი ვალიარებინე და გავხსენი საქმე საქართველოს შსს-ს „ობეხეესის“ მუშაკებზე, რომელთაც გამოძალვით გაძარცვეს ერთი ებრაელი ქალი და 45000 მანეთი წაართვეს. იქვე დავამუშავე მკვლელობაში ეჭვმიტანილი ომაროვი, ვიღაც აბელი და ძმები ხურცილავების საქმეზე დაჭერილი ჟორა და ვალ. ურატაძეები.

აქ ვიმუშავე 8 ოქტომბრამდე და შემდეგ ქ. ბათუმის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში გადამიყვანეს. იქ ვიმყოფებოდი იმავე წლის 20 ოქტომბრამდე. № 2 საკანში ვისხედით მე, ცინცაძე, ჯანელიძე. და ვიტალი ვახანია. ღაღილოვის თხოვნით, (ბათუმის უშიშროების კომიტეტის მუშაკია) დავამუშავე ცინცაძე და ჯანელიძე. ვახანია განსაკუთრებული ობიექტი იყო, რისთვისაც ბათუმში გადმომიყვანეს. ვახანია ვაიძულე დანაშაული ეღიარებინა და იგი გამოტყდა, რომ ჯანელიძესთან ერთად არმიაში სამსახურისას მოიპარა ორი ავტომატი, ოპტიკურსამიზნიანი კარაბინი, ტყვიები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ყველაფერი ეს დორუ ხურცილავას გადასცა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა ამ იარაღებით. შემდეგ თბილისის უშიშროების კომიტეტში დამაბრუნეს და 31 დეკემბრამდე ლაზიშვილის საქმეზე აგენტურულად ვამუშავებდი მაცაბერიძეს, ცქიტიშვილს, ყუფარაძეს და სხვებს.

უშიშროების კომიტეტის № 1 იზოლატორში ყოფნისას თირკმელები ამტკივდა (ქვამ გამიარა) და საავადმყოფოში გადამიყვანეს. იქ ვთანამშრომლობდი ოპერ ჯონი ზაჩატუროვთან და ლექავასთან, შემდეგ გადამიყვანეს № 37 საკანში, შემდეგ მცირეწლოვანთა კორპუსში მცირეწლოვანებთან, სადაც ქორიძემ „გამშიფრა“. გავამტვრიე კარი და წავედი იქიდან გაბრაზებული.

კვლავ მეორე კორპუსში მომათავსეს, № 45 საკანში, ყველანი დახმარებას მთხოვდნენ, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი და უარს ვეუბნებოდი. კარანაძემ მაცნობა, რომ უშიშროების კომიტეტში შენს გადაყვანაზე ჯერ თავს იკავებენო. არც მე მქონდა მუშაობის სურვილი. პანფილოვი და სვიმონიშვილი ყოველნაირად მაიძულებდნენ, რომ მემუშავა, მაგრამ მე უარზე ვიყავი. იმისათვის რომ მოვეტეხე. ავანტურებს მიწყობდნენ და კარცერში მსვამდნენ. გარდა ამისა, რომ თვითონ არ ვმუშაობდი, სხვებსაც ვუშლიდი ხელს მუშაობაში.

№ 39 საკანში აგენტმა აღდგომელაშვილმა პანფილოვის დავალებით სასტიკად სცემა ობიექტი ისკანდერაშვილი და ვიღაც რუსი აგენტი სარქისოვის თანდასწრებით. № 45 საკანში აგენტმა წიკლაურმა სცემა და დაჭრა დათუსანი. **№ 87 საკანში აგენტმა უსუპიანმა პანფილოვისა და სიმონიშვილის დავალებით სასტიკად სცემა ობიექტი ვიტალი კუზიანძე, რომელსაც მთელი შიგნეული დაუზიანდა, პირიდან სისხლი აღებინა და მალე გარდაიცვალა კიდეც საავადმყოფოში. იგი „ჩამოწერეს“.**

აგენტებმა გურამ გოგუამ და თედო დოლიძემ № 38 საკანში სცემეს ობიექტებს, მათ შორის კობახიძესაც, რომელიც ფეხებით ჩამოჰკიდეს და აიძულეს გამომტყდარიყო. ერთი სიტყვით, კორპუსი სპეციალური იყო, სადაც გაბატონებული იყო სისტემა ნებისმიერი საშუალებით ობიექტის დამუშავებისა, რაზედაც მითითებებს იძლეოდნენ პანფილოვი, სიმონიშვილი, ბურდული და სხვები.

ვხედავდი რა ყველაფერ ამას: რომ ადმინისტრაცია ყველანაირად იყენებს აგენტებს ათასნაირი დაპირებებით, შემდეგ კი „შიფრავენ“ მათ და ყველაფერში ატყუებენ, გადავწყვიტე აღარ მეთანამშრომლა მათთან, მაგრამ გამუდმებული კარცერებით გამტეხეს და მაიძულეს მათთან მემუშავა, მით უმეტეს, რომ ყველაფერში სრულ გარანტიას იძლეოდნენ. **აგენტმა დალაქიანმა დამუშავებისას ობიექტი მოკლა და მხოლოდ ერთი წელი დაუმატეს. საქმე კი მიაფუჩეჩეს.**

დავთანხმდი მათთან თანამშრომლობაზე და დავამუშავე ობიექტები: გოგავა, ტურცევი, ხარებოვი, ბურჯანაძე, თეზიკო ლაზიშვილი, მაგრამ კორპუსის მუშაკმა — შალიკო ქებაძემ „გამშიფრა“ და 1971 წელს გადამიყვანეს № 31 კოლონიაში.

1 ნოემბერს კოლონიიდან გადამიყვანეს თბილისის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში, სადაც ვმუშაობდი 1 მარტამდე და დავამუშავე ობიექტები: სემირნოვი, სულავა, კვარაცხელია, თოდრია, ბარბაქაძე, გულია და ა. შ.

1 მარტს გადამიყვანეს № 1 საგამომძიებლო იზოლატორის საავადმყოფოში, სადაც ვამუშავებდი ობიექტს (გვარი არ მახსოვს) კოვალჩუკის დავალებით. № 127 პალატაში საღამოს მოულოდნელად კონტროლიორმა ზინა რაევსკაიამ შემოუშვა დურუ ხურცილავა, რომელიც დანით მემუქრებოდა მოკვლას. იგი დავაწყნარე იმით, რომ რაღაც მოვატყუე მისი საქმეების შესახებ და დახმარებას დავპირდი. მე „გამშიფრა“ მარო მიკოკიშვილმა, რადგანაც განაწყენებული იყო ჩემზე.

3 მარტს გადამიყვანეს წინასწარი პატიმრობის კამერებში, სადაც ქაღალდის გაფორმების საქმეზე დავამუშავე ობიექტი გიორგობიანი და ყველა მისი თანამზრახველი გამოვავლინე.

10 მარტს კვლავ გადამიყვანეს უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში. სადაც სპეციალურად „გამშიფრა“ ანდრო ბადალოვმა.

ადმინისტრაციის დავალებით მე გავლახე ობიექტი იაკოვლევი. უნდა აღვნიშნო, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ობიექტები თავად მეჩხუბებოდნენ და მცემდნენ. მაგალითად: **სიმიონოვმა ცხვირი გამიტეხა, მაგრამ მე მისთვის ხელი არ მიხლია, რადგან დავალებული არ ქონდა.**

14 მარტს გადამისროლეს ქალაქ ქუთაისში. იქ საკანში ჩამსვეს ობიექტ იგორ გაგუასთან. მილი-

(გაგრძელება მე-8 გვ.).

* შევარდნაძე ამ წელს უკვე დანიშნული იყო შს მინისტრად (რედ. შენიშვნა).

[1] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აგენტის აღსარება

(დასასრული)

ცირეკიძე: „20 განცხადება დავწერე საგამომძიებლო იზოლატორის ახალი უფროსის გაბუნიას სახელზე, მაგრამ მასთან არც ერთს არ მიუღწევია. შემდეგ შემთხვევით შევეფეთე. მან დამკითხა, მიიღო ზომები და ფროლოვი მოხსნა. ძიებაში მონაწილეობდა გამომძიებელი თევდორაშვილი".

შემდეგ ცირეკიძე ეკითხება მოწმე ვანეცოვს: „რა უქნეს კიკნაძემ და სტეფანიამ პატიმარ ნადარეიშვილს"?

ვანეცოვი: „ძალით დაიჭირეს მასთან მამათმავლური კავშირი. ამაზე ლაპარაკი ფროლოვმა ამიკრძალა".

ცირეკიძე: „პატიმარი ვალიანი კინაღამ მოკლეს, დაუჭყლეს თირკმლები. ფროლოვი ამას მალავდა, გაბუნია ზომებს არ ღებულობდა".

მოსამართლე: „მითხარი ცირეკიძე, დაგავალეს ისმაილოვის მოკვლა?"

ცირეკიძე: „დაგვავალეს გალახვა და არა მოკვლა. წინასწარი პატიმრობის კამერებში უარესად სცემენ, შემდეგ ჩვენთან მოჰყავთ დასამატებლად. ვინ გაუძლებს ამდენს?"

მოსამართლე: „ჩვენ გამოვიტანთ კერძო განჩინებას, რომ თქვენისთანებს აღარ მისცენ პატიმრების დამუშავების უფლება, ხოლო დამნაშავე მუშაკებს სასამართლოს გადავცემთ".

მოწმე კიკნაძე (აგენტი) უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, რადგან სასამართლო ღიაა და ჰპირდება ჩვენების დაწერას. იგი ამბობს მხოლოდ, რომ ვანეცოვი ცრუმოწმეა და უსუპიანის გადარჩენას ცდილობს. მოწმე ხატისოვი პატიმარ თოფჩიევის პირით ამბობს, რომ ცირეკიძე დამნაშავე არ არის.

მოწმე გავა: „ცირეკიძე არ არის დამნაშავე. ზოგიერთ ამბებზე აქ გავჩუმდები, რადგან სასამართლო ღიაა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მეორმოცე საკანში ისხდნენ გამოსწორებული პატიმრები". (ე. ი. აგენტები. რედ.).

ცირეკიძე: „ხუთი წელია საკანში ვზივარ, მალე ალბათ ჭკუაზე შევიშლები".

პროკურორი: „რატომ არ მიდიხარ კოლონიაში?"

ცირეკიძე: „ვინ გიშვებს, როცა მუშაობა შეგიძლია, ძლიერი, წარმოსადეგი და ჭკვიანი ხარ..."

მოწმე სტეფანია უარს ამბობს ჩვენებაზე, გამოძიებას რომ მისცა, მოსამართლე კითხულობს მის ჩვენებას, სადაც იგი ამბობს, რომ ცირეკიძეს უთქვამს: „ჩვენ შემთხვევით შემოგვაკვდა კაცი და დამხვრეტენ თუ არაო, უფროსები დამპირდნენ დახმარებას, მაგრამ სასიკეთოს ჯერ ვერაფერს ვხედავო".

ცირეკიძე: „კაცი რომ აგენტობის გზას დაადგება, ცოცხლად უნდა დასწვა. აი მე დანა ჩავირტყი მუცელში" (იშიშვლებს მუცელს და ჭრილობას აჩენს).

**1975 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომა** (დაჰკითხეს მუშაკები).

პროკურორი: „საკანში სამი დღე იწვა მომაკვდავი კაცი, რატომ არ დაინტერესდით?"

მოწმე გოდერძიშვილი: (კონტროლიორი): „ეს არ შედიოდა ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში. ეს კორპუსის უფროსს ევალება. მე არ დამინახავს როგორ სცემდა ისმაილოვს ცირეკიძე. (პასუხობს ადვოკატს) მე მოვახსენე უფროსებს და მედდას, მათ ზომები არ მიიღეს".

მოსამართლე: „რატომ?"

გოდერძიშვილი: „მიკვირს, რატომ არის ასეთი სასამართლო ღია, მხოლოდ მუშაკები უნდა დაეშვათ ასეთ სასამართლო პროცესზე. მეორმოცე საკანი განსაკუთრებული საკანი იყო. ცირეკიძეს მუდამ მადლობას უცხადებდნენ: მან ორასზე მეტი საქმე გახსნა".

ცირეკიძე: „ოცი მილიონი მანეთი მოგება მივეცი სახელმწიფოს. ახლა გენერალი უნდა ვიყო. რვა ავტომანქანა და საკუთარი ვილა უნდა მქონდეს".

მოსამართლე: (წონასწორობიდან გამოსული) „ცრუობ შე ნაძირალა, შენ პატიოსან მოქალაქეებს ძარცვავდი, შენი ადგილი არ არის ჩვენს საზოგადოებაში, ხორცმეტივით მოსაშორებელი ხარ".

ცირეკიძე: „ჩემი მოშორება არც ისე ადვილია".

მოსამართლე: „ჩვენმა არმიამ 500 დივიზია გაანადგურა, შენ ვინღა გდიხარ?"

ცირეკიძე: „ჩილეზე სწერენ, აქ კი უარესი ხდება".

მოსამართლე: „ანტისაბჭოთა ყბედობაზე უნდა მოგიყენო მუხლი, არამზადავ, შენს გამო აპატიმრებდნენ უდანაშაულო ხალხს".

ცირეკიძე: „ისინი იჭერდნენ, მე კი არა, მათ შეთხზეს საქმე ჩემზე, რათა კვალი დაეფარათ".

მოწმე ტერ-აუფოვი, შსს ინსტრუქტორი (პასუხობს მოსამართლის შეკითხვაზე): „ამ საქმესთან დაკავშირებით თანამდებობიდან მოხსნეს ერთი კონტროლიორი, ოპერ-რწმუნებული, დაისაჯა მორიგე და სხვები. შემდეგ საქმე პროკურატურაში გადავიდა".

ითქვა იმაზე, რასაც ცირეკიძე თავის განცხადებაში წერდა რესპუბლიკის პროკურორის სახელზე: როგორ არიგებდათ ადმინისტრაცია „თქვით, რომ ისმაილოვს კიბეზე დაუცდა ფეხი და თავი გაიტეხაო".

მოწმე მაისაია: (კორპუსის უფროსი): „არაფერი არ ვიცი, არაფერი მინახავს".

მოსამართლე: „მოვალე იყავით გცოდნოდათ".

მაისაია: „ვინ მისცა ამათ ჯოხები?"

პროკურორი: „რატომ არ გამოიძახე ხალხი? შენ რაღაცას გვიმალავ".

მაისაია იბნევა და რაღაც გაუგებარს ბლუკუნებს.

მოწმე გვასალია (ოფიცერი): „ცირეკიძეს უნდოდა ბექაურთან მივეგზავნე, რათა მას მისთვის საჭირო ჩვენება მიეცა".

ცირეკიძე: „ბექაური შენი ნათესავია და ამიტომ უმაგრებ მხარს".

ერთმანეთს აგინებენ.

მოწმე დეკანოსიძე (თანამშრომელი): „არაფერი არ ვიცი, არაფერი არ მინახავს".

მოწმე ფროლოვი (ყოფილი მთავარი ინსპექტორი): „ცირეკიძემ გვთხოვა მე და იზოლატორის უფროსს, ლეჟავას, დანაშაული უსუპიანისათვის გადაგვებრალებინა".

ადვოკატი: „რატომ აჩერებდით ცირეკიძეს ხუთი წლის განმავლობაში ციხეში?"

ფროლოვი: „იგი თანამშრომლობდა ორგანოებთან. მას მე დავავალე ვახანიას დამუშავება. ისმაილოვზე მას არ ჰქონია დავალება".

ადვოკატი: „მაშ რატომ მომცით ადრე ჩვენება, რომ მან მიიღო თქვენგან ასეთი დავალება?" (მიუნიშნებს გვერდს საქმიდან).

ფროლოვი დაიბნა და გაჩუმდა.

ადვოკატი: „როდესაც ცირეკიძემ ჩვენება მოიპარა, თქვენ გაჩხრიკეთ თუ არა მისი საკანი?"

ფროლოვი: „დიახ, გავჩხრიკე".

ადვოკატი: „თქვენ კი უთხარით გამომძიებელს, რომ მან ჩვენება თქვენს თვალწინ დახია" (კვლავ მიუნიშნებს საქმის გვერდს).

ფროლოვი დარცხვენილი დუმს.

მოსამართლე: (ადვოკატს) „მოეშვი ასეთ ამბებს, რატომ აკეთებ ამას?"

ადვოკატი: „იმიტომ, რომ მათ სურთ ყველაფერი ცირეკიძეს გადააბრალონ, თავად კი სუფთად უნდათ გამოძრომა".

მოსამართლე: (ცირეკიძეს მიმართავს) „ხომ იცი წულაიას საქმე, იგი ამბობს, რომ შენ აიძულე წერილობით ეღიარებინა დანაშაული".

ცირეკიძე: „დიახ, მე იგი დავამუშავე".

მოსამართლე: „მისი მოკვლაც გინდოდა?"

ცირეკიძე: „ამ ციხეში მრავალი მომკვდარა ცემისაგან, ახლა აიღეთ და ყველაფერი მე გადმომაბრალეთ".

მოსამართლე: „შენ თავს გახვედი, რადგან თავზე ხელს გისვამდით. ტაიგაში უნდა გაგვესახლებინე, როდესაც ასეთი ყბედობა დაიწყე. საბჭოთა ხელისუფლება არც ისე სუსტია, რომ შენი დახმარება სჭირდებოდეს".

მოწმე კობლიანიძე (კორპუსის კონტროლიორი): „ცირეკიძე მეუბნებოდა: „ნუ გეშინია, ისმაილოვი არ მოკვდება, ჩვენ მას გამოვაფხიზლებთ. შენ არსად არ დარეკო, თორემ კაცი არ იქნები და გცემ კიდეც. მე მქონდა დავალება დამემუშავებინა ისმაილოვი". შემდეგ წამართვა გასაღებები და გაიქცა. დავრეკე კომენდატურაში და ძლივს წავართვით. რეჟიმის უფროსმა გამაფრთხილა დამეფარა დანაშაული. ამისათვის დასჯის ღირსი ვარ. ცირეკიძე მეუბნებოდა: „თქვი, რომ ტუალეტში დაუცდა ფეხი, მალარიჩი იქნება. უფროსებმა ყველაფერი იციან და დაგვეხმარებიანო". „მე ვიცოდი, რომ ცირეკიძე აგენტი იყო და რასაც იგი აკეთებდა საქმეს სჭირდებოდა".

მოსამართლე: (ცირეკიძეს მიმართავს): „შენ ამბობ, რომ ისმაილოვის მკვლელობის საქმე შენ გახსენი და ეს ამბავი რეჟიმის უფროსს პანფილოვს სურდა?"

ცირეკიძე: „სავსებით სწორია".

**1975 წლის 4 აპრილის სასამართლო სხდომა** (დაჰკითხეს მოწმე თანამშრომლები).

მოწმე ტატუნაშვილი: (ოფიცერი): „მე მითხრეს, რომ ისმაილოვმა ნარკოზული საშუალებები მიიღო და იმისაგან გარდაიცვალაო".

მოწმე ინასარიძე: „(თანამშრომელი) „მე ვიცოდი, რომ იგი სცემეს. ტატუნაშვილმა თქვა, რაღაც ტაბლეტები მიიღოო".

მოსამართლე: „გითქვამთ თუ არა თქვენ პატიმრებისათვის, რომ ეს საქმე უნდა მიფუჩეჩდეს?"

ინასარიძე: „არა, არ გვითქვამს".

ცირეკიძე: „განა 27 სექტემბერს თქვენ არ ესწრებოდით პანფილოვთან და ტერესიანთან ერთად აქტის შედგენას? თქვენ არ მითხარით, რომ იგი ნაცემია? ადმინისტრაციამ გაავრცელა ვერსია, თითქოს ისმაილოვი ფილტვების ანთებისა და ნარკოზული საშუალებებისაგან მოკვდა. მათ გასწავლეს ასე გელაპარაკათ დანაშაულის დასაფარავად?"

მოსამართლე: „სად არიან დანარჩენი მოწმეები?"

**არავინ ჩანს.**

მოსამართლე: (მოთმინებას კარგავს) „მე გიჩივლებთ შსს-ში, გიჩივლებთ ცეკაში, რომ თქვენ არაფრად აგდებთ სასამართლოს. რას აკეთებთ ხალხის ხოცვის გარდა? რატომ არ ღებულობენ ზომებს ციხის უფროსი და მისი მოადგილე? რატომ არ არიან თანამშრომლები ადგილზე? მე ვიშუამდგომლებ, რომ მოხსნან თანამშრომლები, რომლებიც სასამართლოზე არ ცხადდებიან".

(სხვა თანამშრომლები გადიან კლუბიდან მოწმეების დასაძახებლად).

მოსამართლე: (განრისხებული) „აი, რატომ გესვრიან ტალახს პატიმრები. ჩვენ არც გამოვაქვეყნეთ ზოგიერთი მასალა, გუნება რომ არ გაუფუჭოთ ხალხს".

თანამშრომელი ქალი: „დიახ, ისინი თავს გვეიდნენ".

მოსამართლე: „აი, ამ ტომებში, ეს დაწესებულება (საგამომძიებლო იზოლატორი) დახასიათებულია, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია. რატომ არ მოდიან თანამშრომლები? რად არ იმართლებენ თავს? ყველას სამართალში მივცემ, ვინც ცირეკიძის მეშვეობით პატიმრებისათვის ფულის გამოძალვას ეწეოდა. ახლა კი შევწყვეტ საქმეს და მინისტრმა კეთილაძემ მოგვიყვანოს მოწმეები საიდანაც უნდა, ნახეთ რას წერს პატიმარი წულაია.[1] გარდა წულაიასი იქ დაამახინჯეს და დალუპეს ორასზე მეტი კაცი. ეს ამბავი უნდა გამოვიძიოთ. დაუძახეთ ციხის უფროსს".

ციხის უფროსი არ მოდის.

მოსამართლე: „ოცი აქაური თანამშრომელი დავკითხე, სუყველა გონებაჩლუნგი აღმოჩნდა. მათ თავად აღიარეს, რომ ტყუილად სხედან თავიანთ ადგილებზე. მე დავწერ, რომ უმართებულოა გადაწყვეტილება ცირეკიძის საქმის გამოყოფისა საერთო საქმიდან. დიდი და პატარა, ყველანი უნდა შეაერთონ და პასუხისგებაში მისცენ. ადამიანი კვდება, შველას ითხოვს, თქვენ კი ექიმი მანამ არ მიგყავთ, სანამ არ მოკვდება. განა პირველი შემთხვევაა?"

პროკურორი: „როგორ შეიძლება ოფიცრების ამ ნაძირალებთან ერთად გასამართლება, განა ამათი ამხანაგებია ისინი?"

მოსამართლე: „სწორედ რომ ამხანაგებია. აი, რამდენი მოწმე ადასტურებს ამას. თუ არ არიან ამხანაგები, მაშ ვინ აძლევდა პატიმრებს საკნის გასაღებებს, ვინ აძლევდა ასეთ შეღავათებს?"

მოჰყავთ საგამომძიებლო იზოლატორის უფროსის მოადგილე ბურდული.

მოსამართლე: „რატომ დაგვცინით? რატომ არ მოდიან მოწმეები? რატომ გვაფურთხებთ სახეში ყველას?"

ბურდული: „რა ვქნათ ბატონო მოსამართლე, ზოგი წავიდა, ზოგი გათხოვდა, ზოგიც ობიექტზეა".

მოსამართლე: „მე აქ დავკითხე ოპერ-რწმუნებული ფროლოვი. იგი ისე ელაპარაკებოდა ცირეკიძეს, თითქოს ეს უკანასკნელია მისი უფროსი და არა პირიქით, ბურდულო, სად არის აქტი მკვლელობის შემდეგ რომ შეადგინეთ?"

ბურდული: „არ ვიცი"

მოსამართლე: „თქვენ გაანადგურეთ აქტი, თქვენივე ბოროტმოქმედება რომ დაგეფარათ".

მოწმე კობლიანიძემ (კონტროლიორი) ტირილი დაიწყო და სთქვა, რომ დაჭერით ემუქრებოდნენ, თუკი ცირეკიძეს არ მოეშვებოდა. „მოიპაროს გასაღებები რამდენჯერაც უნდაო, რა შენი საქმეაო" — ეუბნებოდნენ თურმე მას.

ცირეკიძე: „რა გამიკეთებია კარგის გარდა, რა უნდათ ჩემგან?"

პროკურორი: „ვის გაუკეთე კარგი?"

ცირეკიძე: „მთავრობას".

პროკურორი: (წონასწორობიდან გამოსული ლანძღავს და აგინებს ცირეკიძეს) „შე ნაძირალავ, უსინდისო, გაფუჭებულო" და ა. შ.

ცირეკიძე: „200 გაუხსნელი საქმე გავხსენი, 20 მილიონი ფული მივეცი სახელმწიფოს, ძალით გამოვგლიჯე იგი დაპატიმრებულ მილიონერებს". (შემდეგ ბურდულს მიმართავს): „უსუპიანმა თქვა, როგორ ურჩევდით მკვლელობის ფაქტის დაფარვას".

ბურდული: „არ არის მართალი".

გამოაცხადეს შესვენება.

იძახებენ ექსპერტს. ექსპერტის დასკვნით პატიმარი გარდაიცვალა თავის ქალის ღრუში სისხლის ჩაქცევით. გვამის ქიმიურმა კვლევამ ვერ აღმოაჩინა მომწამლავი ნივთიერებანი. მეორე მძიმე დაშავება: სისხლის ჩაქცევა მუცლის ღრუში.

გვამის გაკვეთისას დარღვეულია პროცესუალური ნორმა: გამომძიებელი არ ესწრებოდა.

ცირეკიძე: „ისმაილოვს ჰქონდა აბსცედირებული პნევმონია, ეგებ იმისაგან გარდაიცვალა?"

ექსპერტი: „არა, იგი თავის ქალის ტრავმისაგან გარდაიცვალა".

ცირეკიძე ხმამაღლა კითხულობს ისმაილოვის ავადმყოფობის ისტორიას, ექიმის დასკვნას, რომ იგი საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ.

ცირეკიძე: „საავადმყოფოს ნაცვლად იგი მოიყვანეს ჩვენთან, № 40 საკანში, რადგან იგი დამუშავებაში იმყოფებოდა".

მოსამართლე: (სიბრაზისა და დაბნეულობისაგან წონასწორობადაკარგული): „დამუშავება მოკვლას ნიშნავს? ვინ გეუბნებოდა თავი გაუჩეჩქვეო?"

ცირეკიძე: „აბა, ნახეთ, როგორ სცემენ „კპზ"-ში (წინასწარი პატიმრობის საკნები). ისმაილოვი ჯერ იქ სცემეს, შემდეგ კი ჩვენთან მოიყვანეს. დაჰკითხეთ ყველა მოწმე, მაგალითად ბექაური".

მოსამართლე: „ბექაური გაქცეულია".

ცირეკიძე: „მე არ უარვყოფ, რომ მქონდა დავალებული ნებისმიერი საშუალებით მეიძულებინა პატიმარი წულაია წერილობით ეღიარებინა, რომ მას ქრთამი მისცეს. მე შევასრულე დავალება, ვცემე იგი. ისმაილოვი კი არ მიცემია. ჩემი ჩვენებები ყველაზე სწორია, ეხლაც ვადასტურებ. არ ვადასტურებ მხოლოდ იმ ჩვენებას, რომელიც გამომძიებელი ნადარეიშვილის ხელითაა დაწერილი. მე არ ვიცი რა დაწერა მან. მე ვიცნობდი გეგელიას „კპზ"-დან, მაგრამ მან მომატყუა თევდორაშვილთან ერთად და მაიძულეს მიმეცა ყალბი ჩვენება. მითხრეს: „მოეშვი ადმინისტრაციას, უსუპიანს, აიღე დანაშაული საკუთარ თავზე, 5 წელს მოგისჯითო, მერე გაგინახევრებთ და გათავისუფლდებიო. სინამდვილეში ისმაილოვი ბექაურმა სცემა, უსუპიანმა კი ისე მაგრად უბიძგა მას, რომ მან თავი მიარტყა კედელს და სამ დღეში მოკვდა. ოპერმა ფროლოვმა თქვა: „არაფერია, პირველი შემთხვევა როდია, იწვეს თავისთვის და გამოჯანმრთელდება. თუ ვინმემ გკითხოთ, უთხარით: ფეხი დაუცდა და იატაკს თავი დაარტყა-თქო". მე არ მოვისვენე: ავტეხე განგაში და ექიმი მოვაყვანინე".

**რაც შეეხება წულაიას, მე და ელოიანმა ვაიძულეთ დაეწერა აღიარება. მე ვიცნობდი ყველა ნარკომანს. მათ თავად ადმინისტრაცია აძლევდა ნარკოზულ საშუალებებს.**

პროკურორი: „გაძლევდა თუ არა ფროლოვი დავალებას გეწამებინა და გეცემა პატიმრები?"

ცირეკიძე: „დიახ, იგი გვაძლევდა ამგვარ დავალებებს. თავადაც სცემდა".

პროკურორი: „სტყუი, ფროლოვი არ მოგცემდა ამგვარ დავალებას".

ცირეკიძე: (წამოხტება ადგილიდან) „როგორ, პროკურორი ხართ და არ იცით რა ამბები ხდება აქ?"

მოსამართლე: „ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომ დავალებებს მხოლოდ შენ ღებულობდი. როგორ არა გრცხვენია, ოთხჯერ ხარ ნასამართლევი, ახლა კი მეხუთეჯერ გასამართლებენ".

ცირეკიძე: „დიდი ამბავი, სტალინს სამი ნასამართლობა ჰქონდა. შეიძლება მეც გავხდე როდესმე ბელადი".

დარბაზში იცინიან.

იძახებენ მოწმე პანფილოვს, რეჟიმის უფროსს; აღმოჩნდა, რომ იგი კიევშია.

ადვოკატი პროტესტს აცხადებს 129-ე მუხლთან დაკავშირებით (დახმარების გაუწევლობა) და ამბობს, რომ „ცირეკიძის მოვალეობაში არ შედიოდა დახმარების გაწევა, ამისათვის სხვები უნდა მისცენ სამართალში".

ადვოკატი: (მიმართავს ცირეკიძეს) „რას ნანობ ყველაზე მეტად?"

ცირეკიძე: „იმას, რომ აი, ამათ დავუკავშირდი" (მიუთითებს თანამშრომლებზე).

**1975 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომა.**

უსუპიანი ეუბნება ცირეკიძეს: „როდესაც ისმაილოვს სცემდი, გევედრებოდა: ნუ მცემ, ხუთი შვილის მამა ვარო".

ცირეკიძე: „მაგრამ სასიკვდილო აღმოჩნდა სწორედ ის დაზიანება, შენ რომ მიაყენე. შენ სცემე ზებელიანი 33-ე საკანში, გურგენ ხარატურიანი 37-ე საკანში, მალხაზ თალაკვაძე მე-40 საკანში. იგი 42-ე საკანში გადაიყვანეს. მაშინ კობლიანიძემ გამოგიყვანა 37-ე საკნიდან, შენ 42-ში შეხვედი და ხელმეორედ სცემე იგი. 44-ში სცემე გვენცაძე, რომელიც ყვიროდა მკლავენო და შველას ითხოვდა. 44-შივე სცემე ქელბაქიანი რკინის ჯოხით. იგი მთელი კვირა ვერ მოეგო გონს. ქელბაქიანი მძღოლი იყო და „ხალტურაზე" იჯდა. 37-ე საკანში შენ სცემე მოხუცი ბიგვავა, ჩაის საქმეზე რომ იჯდა, 44-ში შირინიანი და ა. შ.

უსუპიანი: „მე დაგიმტკიცებ, რომ სხვებიც დაგიხოცავს".

მას აწყვეტინებენ. გამოდის პროკურორი მაზარაძე, მან აღნიშნა, რომ № 1 საგამომძიებლო იზოლატორში არ იყო წესრიგი და იმედი აქვს, ახალი უფროსი, ამხ. გაბუნია ყველაფერს გამოასწორებს და წესრიგს დაამყარებს. ისმაილოვი პირველად იჯდა ციხეში, ხოლო მისი მკვლელები, რეციდივისტები. ისინი ამბობენ, რომ ისმაილოვის დამუშავება ადმინისტრაციამ დაავალა. შეიძლება ეს ასეა, მაგრამ ამას გულისხმობდნენ წესიერების ფარგლებში (!). ამჟამად საბჭოთა კანონმდებლობა ისეთ სიმაღლეზე დგას, რომ ასეთი დავალების მიცემა არავის შეეძლო. ეს ამბები წარსულში ხდებოდა, ამჟამად ყველაფერი გამოსწორებულია ჩვენს სახელმწიფოში. ამისათვის 15-20 წელი დაგვჭირდა. ისინი, ვინც ამგვარ დავალებებს იძლეოდნენ, ჩვენმა სახელმწიფომ დახვრიტა. როგორც ჩანს ჩვენება ცირეკიძემ მოიპარა[1]. გამომძიებელი ამას არ იზამდა, მე მას ვიცნობ, იგი ჩემთან მუშაობდა და ასეთ რამეს არ მოველი მისგან.

ცირეკიძემ მუცელში დაარტყა ისმაილოვს, ხოლო უსუპიანმა თავში. ექსპერტმა დაამტკიცა, რომ იგი თავში მიყენებული ტრავმისაგან გარდაიცვალა. თუმცა, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ერთის დანაშაული მეტია, ვიდრე მეორისა[2]. ვერსია, რომ მათ სურდათ აეძულებინათ ისმაილოვი, წერილი მიეწერა სახლში, არ მართლდება.[3] ვიკითხოთ: რა იყო მკვლელობის მიზეზი?..[4] არა, არა, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ მათ გამოსწორებას, ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან, ოჯახები ჰყავთ... მაგრამ მაინც რას შეუძლია მათი ხვედრის შემსუბუქება? არ ვიცი, არ ვიცი (პროკურორს „ავიწყდება", რომ ცირეკიძემ 200 საქმე გახსნა). 129-ე მუხლი უნდა მოიხსნას. ცირეკიძისათვის მოვითხოვ 6 წელს, უსუპიანისათვის 5-ს[5], მკაცრი რეჟიმით.

გამოდის ადვოკატი ა. ფხაკაძე. იგი სვამს კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ძიებას ამდენი ტომი, ამდენი მოწმე, როდესაც ბოროტება მოხდა ოთხ კედელში და მას მხოლოდ ხუთი კაცი ესწრებოდა?

„ცირეკიძე არ დაბადებულა ბოროტმოქმედად. იგი სპორტსმენი გახლდათ, სსრკ-ს ჩემპიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ჰყავდა ოჯახი. იგი ამ მდგომარეობამდე ყოფილმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა მიიყვანეს. რატომ ჰყავდათ იგი ამდენი წელი ციხეში, რატომ არ გაისტუმრეს კოლონიაში? ისინი ამბობენ, რომ იგი მათ სჭირდებოდათ. ასე განაცხადა აქ ერთ-ერთმა მოწმემ. არის თუ არა ეს მისი უფლებების ხელყოფა? თუკი ცირეკიძისაგან თხოულობთ, რომ პატივი სცეს კანონს, თავად რატომ არღვევთ მას? რატომ არ იყურებით იქით, საიდანაც ყოველივე ამის მიზეზი მოდის? ცირეკიძე ბრმა იარაღად გამოიყენეს, მას აბალისებდნენ, პრეზიდიუმმა ორი წელი ჩამოაკლო, ჰპირდებოდნენ პრივილეგიებს, ხოლო როდესაც დანაშაული გამოაშკარავდა, უფროსები გვერდზე გადგნენ და ცირეკიძემ უნდა ზღოს კანონის წინაშე ყველას მაგიერ. რამ მიიყვანა ცირეკიძე აქამდე? იმ დარღვევებმა, რაც უწინდელ მმართველობას გააჩნდა. მე თავად შსს-ს ყოფილი თანამშრომელი ვარ, ჩინით პოდპოლკოვნიკი, მაგრამ არასოდეს გამიგონია ციხეში ამდენი არაყი და ნარკოტიკული საშუალებები შეეტანოთ. განა ამით თავად მუშაკები არ ვაჭრობდნენ? დისციპლინა ირღვეოდა, არ იყო კონტროლი. მე ვფიქრობ სასამართლომ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ყოველივე ამის შესახებ. მე ვითხოვ მინიმალურ სასჯელს.

სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულ უსუპიანს. უსუპიანი თავს დამნაშავედ არ თვლის და სიტყვაზე უარს ამბობს.

სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულ ცირეკიძეს, რომელიც ამბობს, რომ არ უცემია ისმაილოვი ისე მაგრად, რომ იგი მომკვდარიყო. იგი მაგრად სცემა ბექაურმა, რომლის დანაშაულს მას აბრალებენ, რადგან ბექაურს ნათესავი ჰყავს რესპუბლიკის პროკურატურაში. ჩემს ცხოვრებას და მომავალს წერტილი დაესვა. დაილუპა ჩემი ოჯახი. რატომ მაიძულებდნენ ხალხის ცემას? უდანაშაულოებს როდი ვცემდი, მხოლოდ იმათ, ვისზედაც ძირითადი დავალება იყო მოცემული. 110-ე მუხლის მეორე ნაწილიც უსამართლოდ მომიყენეს, მე მიზნად არ მქონია სიკვდილის პირამდე მეცემა ისმაილოვი. უფრო სწორი იქნებოდა ჩემთვის 108-ე მუხლი მოეყენებინათ (სხეულებრივი დაზიანება განზრახვის გარეშე). ადმინისტრაციას თავიდანვე უნდოდა მთელი დანაშაულის ჩემზე გადმობრალება. ხან მთხოვდნენ, ხან მაშინებდნენ. მეუბნებოდნენ: დურუ ხურცილავასთან ჩაგსვამთ და ის გვიჩვენებს როგორ უნდა დაგვიჭიროო. მე ვუთხარი: არ მეშინია მისი-მეთქი. შემდეგ პანფილოვი დამემუქრა, მამათმავლების საკანში ჩაგსვამო. მე ვუპასუხე: იქ აუცილებლად მოვკლავ ვინმეს-მეთქი. საქმიდან მრავალი დოკუმენტია მოპარული. ნუთუ ყველა მე მოვიპარე? გამომძიებელი ონანოვი რომ პატიოსანი კაცი იყოს, როგორც ამას პროკურორი ამტკიცებს, თანამდებობიდან არ მოხსნიდნენ. სწორედ მან მოიპარა ჩემი პირველი ჩვენება, სადაც ადმინისტრაციის ვამხილე. **დავალებას ცემასა და წამებაზე ჩვენ მუდამ უფროსები გვაძლევდნენ, ეს ყველამ იცის. ვითხოვ გამართლებას, თავს დამნაშავედ არა ვცნობ.**

**1975 წლის 9 აპრილის სხდომა.**

ცხადდება საბრალდებო დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ უსუპიანმა და ცირეკიძემ პირადი უთანხმოების საფუძველზე სასიკვდილოდ სცემეს პატიმარი ისმაილოვი (გალახვის მიზეზების ისტორიაზე, ე. ი. დამუშავების შესახებ დავალებაზე კრინტიც არ დაუძრავთ. ხმა არ ამოუღიათ შსს-ს მუშაკების როლზე).

განაჩენი ორთავეს 6-6 წელი მკაცრი რეჟიმით.

**რედაქციის დასკვნა:**

**წამების მეთოდების ფართოდ გამოყენება საქართველოს სსრ შსს-ს საგამომძიებლო იზოლატორში ემთხვევა შსს-ს მინისტრის, ე. შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდს (1966-1972 წწ.). იგი ამჟამად საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანია. მანვე შექმნა საგამომძიებლო იზოლატორის „სპეციალური" მეორე კორპუსი, პატიმარ „ობიექტთა" სასაკლაო, შსს-ს ჯალათთა სათარეშო ადგილი, სადაც წამების უსაშინლეს მეთოდებს იყენებდნენ: რკინის ჯოხებით ცემას, ფოლადის ნემსებისა და მავთულების გარჭობას, ფეხებით ჩამოკიდებას, ანთებული სიგარეტით სხეულის ამოწვას, ცხელი შხაპის ქვეშ გაჩერებას, ჰომოსექსუალურ გაუპატიურებას და ა. შ.**

**1975 წლის 1-9 აპრილის აგენტების ღია სასამართლოს ფარსი იმისათვის გათამაშდა, რომ შსს გაემართლებინათ საზოგადოების თვალში და მთელი დანაშაული საბრალო მსხვერპლთათვის: უსუპიანისა და ცირეკიძისათვის გადაებრალებინათ და ამით დაეფარათ მთავარი დამნაშავე, ედუარდ შევარდნაძე და მისი უწყება.**

**დანართი**

№ 1 საგამომძიებლო იზოლატორში წამების მეთოდების გამოყენებას ადასტურებს ქ. რუსთავის კოლონიის პატიმრის, სახალხო კონტროლის ყოფილი მუშაკის კარლო წულაიას საჩივარი. წულაია გაასამართლეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით (მექრთამეობა) და მისჯილი აქვს 10 წლით პატიმრობა. იგი ბრალს სდებს რესპუბლიკის პროკურორის ყოფილ მოადგილეს ო. ჯიბლაძეს, № 1 საგამომძიებლო იზოლატორის ყოფილ ადმინისტრაციას და აღწერს, თუ როგორ აწამებდნენ.

„მე მომათავსეს № 1 საგამომძიებლო იზოლატორის № 40 საკანში, სადაც აგენტების ხელში მოვხვდი, რომელთაც ცირეკიძე მეთაურობდა. მან ახლახან სადისტური მეთოდებით მოკლა ციხეში კაცი.

იური ცირეკიძემ პირველი დღიდანვე დაიწყო წვალება. ისე მაგრად მცემა, რამოდენიმე საათს გონება მქონდა დაკარგული და ადმინისტრაცია იძულებული გახდა ექიმთა დახმარებისათვის მიემართა. შემდეგ მჩხვლეტდნენ რკინის მავთულებით, თავში სცამს მირტყამდნენ, ხელებზე ანთებულ სიგარეტებს მიქრობდნენ, მოკვლით მემუქრებოდნენ საკუთარი თავის მამხილებელ ჩვენებას თუ არ დავწერდი. მთხოვდნენ აგრეთვე დამეწერა, რომ თითქოს ქარდავასაგან 800 მანეთი ქრთამი ავიღე. უარი ვუთხარი და ისე მაგრად მცემეს, რომ სამი საათით გონება დავკარგე. გამოუძახეს ექიმებს და იმათ მომასულიერეს. ცემა შემდეგაც გრძელდებოდა. ერთხელ ცირეკიძე გვერდით მომიჯდა, დაასახელა ჩემი ახლო ნათესავები, მათი გარეგნობაც კი ამიწერა და ტელეფონის ნომრები მითხრა. ჩემი ცოლისა და რვა წლის ქალიშვილის სახელები ახსენა და თქვა, რომ მათ გააუპატიურებდნენ, თუ ამგვარ ჩვენებას არ მივცემ. მე მივხვდი, რომ ისინი ამის გაკეთებას შესძლებდნენ, ამიტომ ბოლოს დავთანხმდი და მზად ვიყავი ყველაფერი დამეწერა, რასაც კი მიბრძანებდნენ. მზად ვიყავი არა თუ 800 მანეთზე, რვა მილიონზეც მომეწერა ხელი.

ნაწილობრივ მათი კარნახით დავწერე, რომ ქარდავასგან სესხად ავიღე 1000 მანეთი. ვიფიქრე ეს მიშველიდა, მაგრამ ამაოდ. ისევ ცემა დამიწყეს და გაუპატიურებით დამემუქრნენ, თუ ნათესავებს წერილს არ მივწერდი, რომ ფული გამოეგზავნათ. ი. ცირეკიძის კარნახით დაწერილი წერილები ჩემს ცოლთან იუზას (როგორც ძიებაზე გამოირკვა, თემურ ჩხარტიშვილს) მიჰქონდა. ოთხჯერ მოიტანა მან ფული: პირველად 200 მანეთი. 50 მანეთი თვითონ აიღო, 150 ცირეკიძეს მისცა. მეორედ 250 მანეთი. 50 თვითონ დაიტოვა, დანარჩენი ცირეკიძეს გადასცა. შემდეგ 220 მანეთი მოიტანა. იუზამ ახლაც 50 მანეთი აიღო, 170 ცირეკიძეს მისცა. ბოლოს მაიძულეს 1000 მანეთის მოტანა მეთხოვა. 200 იუზამ, ანუ თემურ ჩხარტიშვილმა ჩაიჯიბა, ხოლო 800 მანეთი ცირეკიძემ მიითვისა.

ფულთან ერთად ცირეკიძე მაიძულებდა წერილობით მეთხოვა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლების მოტანაც. ყოველივე ამას ისინი ითვისებდნენ.

1973 წლის აპრილში დასაპირისპირებლად ჩემთან მოიყვანეს ჩემი სიძე ა. არდია და ბიძაშვილი ა. ჭანტურია. დაპირისპირებას ესწრებოდა ოპერატიული იზოლატორის მუშაკი ვ. ლხინაძე. გამომძიებელი გავიდა. სიძემ და ბიძაშვილმა ამასობაში ფული შემომთავაზეს. ოპერმუშაკმა თქვა: „გადაეცით თუ გსურთ, ჩემი ნუ გრცხვენიათო". საკანში ცირეკიძემ უკვე იცოდა ეს ამბავი და უკანასკნელ კაპიკამდე წამართვა ყველაფერი.

ძიებებითა და ცირეკიძის ჩვენებებით უკვე დადასტურებულია თუ ვისი ბრძანებით მაწამებდნენ და მართმევდნენ ფულსა და ნივთებს. საკანში ცირეკიძე და სხვა აგენტები გამუდმებით ლოთობდნენ და ჰქონდათ ცივი იარაღების მთელი კოლექცია.

ცემის, სიგარეტებით სხეულის ამოწვის, მძიმე წვეტიანი საგნებით ცემის შედეგად ტანზე სამუდამო ნაიარევები დამრჩა.

ეს საბუთდება წულუკიძის კოლონიაში ჩემი და ქარდავას დაკითხვის ოქმებით, რომლებიც კოლონიის ოპერ-რწმუნებულმა ჩაატარა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცნობებით. ეს საბუთები გადაიგზავნა რესპუბლიკის პროკურატურაში 2/675 ნომრით, 1973 წლის 4 ოქტომბერს.

ჩემი წამების მოწმეები № 1 საგამომძიებლო იზოლატორის № 40 საკანში არიან მიტიჩაშვილი[1] და სიმაშვილი. ესეც დამტკიცებულია სხვა საგამომძიებლო მასალით.

ცემისა და წამების დროს ცირეკიძე და მისი ბანდა მთხოვდა რამე მეთქვა წალენჯიხის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, ამჟამად საქართველოს ცკ-ს მუშაკის დ. ა. კვარაცხელიას და სხვა თანამდებობის პირთა მექრთამეობაზე. აგენტები: ჯიბლაძე, თორთლაძე და ცირეკიძე ხშირად მაგზავნიდნენ № 1 საგამომძიებლო იზოლატორის უფროსის მოადგილესთან, სვიმონიშვილთან და ოპერ-განყოფილების მუშაკებთან: ფროლოვთან და ლხინაძესთან სათანადო ჩვენებების მისაცემად.

მათი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად მე მხოლოდ სწორი ჩვენებები მივეცი.

ჩემს მართალ ჩვენებებს გამომძიებელი თორთლაძე ხევდა ფროლოვის კაბინეტში და თან ფიზიკურ განადგურებას მიქადდა. უარი განვაცხადე ყალბი ჩვენების მიცემაზე და საკანში დაბრუნებაზე. მაშინ მან დაუძახა ზედამხედველებს და უბრძანა ძალით დავებრუნებინე საკანში. მე შევეწინააღმდეგე, მაგრამ სანამ კაბინეტიდან გამიყვანდნენ, თორთლაძემ მაჩვენა ცირეკიძის კარნახით დაწერილი განცხადება. მივხვდი, რომ სიმართლის დამტკიცების ყველა გზა დახშულია. ამის შემდეგ მისი კარნახით დავწერე ჩვენება, თითქოს ქარდავასაგან ვალად ავიღე ათასი მანეთი...

ასეთი მხეცური მეთოდებით შეთხზეს მათ საქმე ჩემს წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კაცისმკვლელმა ცირეკიძემ ჩემს თვალწინ აწამა პატიმარი მ.... და ძალით ბარბაროსული მეთოდებით დაიჭირა მასთან მამათმავლური კავშირი. მ... ცოცხალმკვდარი წაიყვანეს საავადმყოფოში 1973 წლის მაისს. ცირეკიძის კარნახით მ.... აგზავნიდა სახლში წერილებს ზედამხედველ იუზას ხელით და ითხოვდა ფულს, რომელსაც ცირეკიძე და იუზა ითვისებდნენ.

**1975 წელი.**

---

[1] ამონაწერები წულაიას განცხადებიდან იხ. ქვემოთ.

[1] პროკურორმა არაფერი თქვა იმაზე, რომ გარდა ჩვენებისა, დაიკარგა შემთხვევის ადგილზე შედგენილი აქტი და სხვა დოკუმენტები. ამ ამბის ცირეკიძისათვის გადაბრალება კი შეუძლებელია.

[2] პროკურორი უდაოდ ეხმარება უსუპიანს, იმიტომ, რომ იგი უფრო კონსპირატიული აგენტია, არ ამხელს უფროსებს, სდუმს.

[3] მოსამართლემ კი თქვა, რომ ეს ასეა (იხ. ზემოთ).

[4] აქ პროკურორს დაავიწყდა და კინაღამ გაამხილა ნამდვილი მიზეზი, შემდეგ ანაზდად გამოფხიზლდა და სხვა თემაზე გადავიდა. ამიტომაა შეუსაბამობა მის სიტყვაში ამ ადგილას.

[5] აქაც შეღავათი უსუპიანს, თუმცა პატიმარი მისი დარტყმისაგან გარდაიცვალა (სისხლის ჩაქცევა თავის ქალის ღრუში).

[1] არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, როსტოვის ციხეში „შემთხვევით" ჩხუბის დროს მოკლეს მიტიჩაშვილი, როგორც სახიფათო მოწმე შსს-ს ბოროტმოქმედებებისა.

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

## დადგენილება

**საარჩევნო კომისიებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ წარდგენილი და დანიშნული კომისიის წევრებისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ**

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ჩამოერთვათ უფლებამოსილება ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს, რომლებიც ამ კომისიებში წარადგინა ან დანიშნა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ,

2. საოლქო საარჩევნო კომისიებმა, რომლებშიც ამის შედეგად წევრთა რაოდენობა ცამეტზე ნაკლები აღმოჩნდება, ორი კვირის ვადაში უზრუნველყონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების, შრომითი კოლექტივების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი წევრების კანდიდატურების წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის.

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**

**ვ. ხმალაძე.**

**1991 წლის 29 აგვისტო.**

**საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

## დადგენილება

**საარჩევნო კომისიებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ წარდგენილი და დანიშნული კომისიის წევრებისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ**

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ჩამოერთვათ უფლებამოსილება ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების წევრებს, რომლებიც ამ კომისიებში წარადგინა ან დანიშნა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ.

2. ტერიტორიულმა და ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა, რომლებშიც ამის შედეგად წევრთა რაოდენობა ცამეტზე ნაკლები აღმოჩნდება, ორი კვირის ვადაში უზრუნველყონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების, შრომითი კოლექტივების მიერ კომისიების ახალი წევრების კანდიდატურების წარდგენა ზემდგომი საარჩევნო კომისიისათვის.

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**

**ვ. ხმალაძე.**

**1991 წლის 29 აგვისტო.**

---

**თეატრი**

# საიუბილეო სეზონი

**დღეს,** ტრადიციისამებრ, უკვდავი „აბესალომ და ეთერით" ხსნის თავის 140-ე თეატრალურ სეზონს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი.

თეატრის შემოქმედებით გეგმებსა და სიახლეებზე გვესაუბრება თეატრის დირექტორი ზურაბ ლომიძე:

საოპერო ხელოვნების მოყვარულებმა კარგად იციან, თუ რა ნაყოფიერი იყო წლევანდელი ზაფხული კოლექტივისთვის. უწინარესად, მხედველობაში მაქვს ივლისში საოპერო დასის წარმატება იტალიაში. შემდეგ საბალეტო დასის მონაწილეობა ათენის ფესტივალში. ამჯერად მესამედ ეწვივნენ საბერძნეთს ჩვენი მოცეკვავეები. ღია ცის ქვეშ მათ წარმოადგინეს ვ. კახიძის „ამორძალები" და კნაიფერის ერთაქტიანი ბალეტი „მედეა". გასახარია, რომ გაისად ფესტივალზე მიწვეულ საუკეთესო კოლექტივებს შორის კვლავ იქნება ჩვენი საბალეტო ჯგუფიც.

დღეს საღამოს „აბესალომ და ეთერში" ეთერის პარტიას თბილისში პირველად შეასრულებს იანო ალიბეგაშვილი, რომელიც როგორც იცით, ვოკალურ ხელოვნებას ხვეწავს იტალიაში. მოხდა ისე, რომ იანომ ეთერის პარტია წარმატებით უკვე იმღერა შარშან გერმანიაში და წლეულს იტალიაში, თბილისში კი არ უმღერია. მთავარ პარტიებს შეასრულებენ აგრეთვე თემურ გუგუშვილი და ანზორ შომახია. სპექტაკლს უდირიჟორებს ჯანსუღ კახიძე.

სეზონის პირველი პრემიერა იქნება ვერდის „ოტელო" 6 და 10 სექტემბერს. მკითხველებს შევახსენებთ, რომ სპექტაკლის რეჟისორია რობერტ სტურუა, მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი, დამდგმელი დირიჟორი — ჯანსუღ კახიძე. „ოტელოს" პარტიას, ისევე როგორც იტალიაში, ზურაბ სოტკილავა იმღერებს.

8 სექტემბერს მაყურებლები „დონ კარლოსში" შეხვდებიან პაატა ბურჭულაძეს. ამ სპექტაკლზე დასასწრებად საგანგებოდ ავსტრიიდან გვეწვევა ქართველი მომღერლის გულშემატკივართა ჯგუფი, დაახლოებით ასი კაცი. იმ დღეს სადირიჟორო პულტთან იქნება ავთანდილ მამაცაშვილი.

ბალეტის მოყვარულები სეზონის პირველ წარმოდგენას იხილავენ 5 სექტემბერს. ამ დღეს ვ. კახიძის „ამორძალები" იქნება წარმოდგენილი. 15 სექტემბერს ნაჩვენები იქნება „ჟიზელი", რომელიც ამ სპექტაკლის დადგმის 150-ე წლისთავს ეძღვნება, ირმა ნიორაძისა და თამაზ ვაშაკიძის მონაწილეობით.

თეატრის საბალეტო დასი მუშაობს და მალე უჩვენებს მაყურებელს სკიოლდის „სილფიდას". იგი ცნობილი დანიელი ქორეოგრაფის ბურნავილის ქორეოგრაფიით იდგმება საგანგებოდ ნინო ანანიაშვილისა და ირმა ნიორაძისათვის. არჩევანი თვით ნინომ შემოგვთავაზა და პრემიერაზეც თვითონ იცეკვებს. ირმა ნიორაძემ კი ეს პარტია მოამზადა დანიაში. ასე რომ, საბალეტო რეპერტუარს ერთი კლასიკური ბალეტიც შეემატება. მისი მხატვარია ზურაბ ნიჟარაძე.

საოპერო ხელოვნების მოყვარულნი სეზონის დასაწყისშივე ორ ახალ დადგმას იხილავენ: გასული სეზონის ბოლო პრემიერას, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს", რომელიც მაყურებელს მოეწონა, და სერგი პროკოფიევის ოპერას „ცეცხლოვან ანგელოზს", როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს შარშან გერმანიაში, დუისბურგში პროკოფიევის ფესტივალზე გამარჯვება ხვდა. პირველ ოქტომბერს განზრახული გვაქვს „ქეთო და კოტე" ვუჩვენოთ ოზურგეთში ვ. დოლიძის საიუბილეო საღამოზე.

შუა ოქტომბერში საოპერო დასი მუშაობას შეუდგება ო. თაქთაქიშვილის ოპერაზე „მთვარის მოტაცება", იგი მიეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეს. სცენოგრაფია ეკუთვნის უშანგ იმერლიშვილს. სპექტაკლს დადგამს რეჟისორი გურამ მელივა.

გეგმაში გვაქვს „დაისის" გაახლება ფართო მუსიკალური საზოგადოებრიობის ჩარევითა და აქტიურობით. სამხატვრო საბჭო გადაწყვეტს ალექსი მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტის", ფილიპე ლორენტის „ივერიელებისა" და სოსო ბარდანაშვილის ახალი ბალეტის დადგმის საკითხს. ეს კია, რომ შეფასების კრიტერიუმი კვლავ და კვლავ ნაწარმოების მხატვრული დონე იქნება.

საერთოდ, თეატრი ცდილობს იხელმძღვანელოს დემოკრატიული პრინციპებით. სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევა ფარული კენჭისყრით ალტერნატიულ ვითარებაში ამის დასტურია. სამხატვრო და შემოქმედებითი კოლექტივის გაერთიანებული საბჭოები, სარეპერტუარო და სადირიჟორო კოლეგიები, რომლებშიც თვით კოლექტივის წევრები არიან გაერთიანებულნი, წარმართავენ თეატრის შემოქმედებით პროცესებს. ეს არ ნიშნავს, თითქოს თეატრს პრობლემები არა ჰქონდეს. ძალიან გვიჭირს ფინანსურად. მცირეა შრომის ანაზღაურება... მაგრამ, იმედია, მხარში ამოგვიდგებიან როგორც ხელისუფლება, ისე ფართო საზოგადოებრიობა, რათა რესპუბლიკის უპირველესმა მუსიკალურმა თეატრმა თავისი ხელოვნებით, საინტერესო შეხვედრებით სიხარულს ანიჭოს ქართველი მუსიკისმოყვარულებს.

# აგენტის აღსარება

(გაგრძელება)

საკანში და თვითონვე უცემდა გამოსატეხი პატიმრები, მაგ: ღარიბაშვილი, ბაბიჩევი, აგენტები: ჩუმაჩენკო, აკოპიანი, უსუპიანი და ა. შ.

თავის კაბინეტში იგი აწყობდა შეხვედრებს პატიმრებსა და მათ ნათესავებს შორის. მოჰყავდა ქალები, აწყობდა ღრეობებს 4-5 აგენტთან ერთად და სვამდა ჩემი გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფროლოვი უსინდისო მუშაობით შიფრავდა აგენტებს და ქრთამის გამოძალვას ეწეოდა. იგი ხშირად მოდიოდა კორპუსში მთვრალი, აგენტებს თავისუფლად სეირნობის უფლებას აძლევდა. საქმეების გახსნისათვის ფროლოვი თავის უფროსებთან ერთად ყველაფერზე და ყველანაირ დათმობაზე მიდიოდა და აგენტებს აკრძალულ დავალებებს აძლევდა.

**თავისი ხიხარბის დასაკმაყოფილებლად ფროლოვი საგენტო მონაცემებსაც კი ჰყიდდა პატიმართა ნათესავებზე, ახლობლებზე და თვით ბოროტმოქმედებათა თანამონაწილეებზე და დიდძალ ფულს შოულობდა.**

ჩვენი საგენტურო მუშაობის ხელწერა ერთ რამესაც ითვალისწინებდა, უფროსების დავალებითა და ოპერატიული მუშაკების მეშვეობით ობიექტებს გარე სამყაროსთან ვაკავშირებდით, რათა გამოგვერკვია თანამონაწილენი, დაგვემტკიცებინა დანაშაული, გვეშოვა ნივთმტკიცება. წერილებში ზოგჯერ ობიექტები თავიანთ საიდუმლოებებზე სწერდნენ, ამჟღავნებდნენ ფულის, ოქროს, სხვა ღირებულ ძვირფასეულობის სამალავებსა და ახლობლებს სთხოვდნენ გადაემალათ ისინი.

გარდა ამისა, ობიექტები წერილებში ასახელებდნენ თანამონაწილეებს, სთხოვდნენ დახმარებას. ეწეოდნენ ფულის გამოძალვას და უარის შემთხვევაში გაცემით ემუქრებოდნენ. ამის მიხედვით ჩვენ, აგენტები ვამუშავებდით ობიექტებს, ვირკვევდით მათ საიდუმლოებებს, ვამჟღავნებდით მათ თანამონაწილეებს, ვააშკარავებდით მათ საიდუმლოებებს, დანაშაულს. ვიგებდით ბოროტმოქმედებებით დაგროვილი სიმდიდრის ადგილსამყოფელს და ეს სიმდიდრე შემდგომში სახელმწიფო ბიუჯეტს ემატებოდა.

ამგვარ მახეში გაბმული ობიექტი იძულებული იყო ეღიარებინა დანაშაული, დაესახელებინა თანამონაწილენი.

წინასწარ ხდებოდა ყველა წერილის ფოტოგრაფირება, რომლებიც ოპერგანყოფილების გავლით და დამაკავშირებლის ხელით გადიოდა. გარდა ამისა, ობიექტებს ვაკავშირებდით მათ თანამონაწილეებთან, რომლებიც სხვადასხვა საკნებში ისხდნენ. მათი მიმოწერის საშუალებით ვგებულობდით მათსავე დანაშაულის შესახებ. საქმიანი და საჭირო წერილები ინახებოდა აგენტებთან და ოპერგანყოფილებაში. აგენტი წერილს გადასცემს შეფს, ეს უკანასკნელი კი საგამომძიებლო ორგანოებს უგზავნის.

ზოგჯერ გამომძიებლებს ადგილზევე იძახებენ წერილების გადასაცემად. ისინი თავად კითხულობენ საგენტურო მასალებს. ამასთან, აგენტთან საუბარში გამომძიებლები საჭირო გეზს აძლევდნენ და სწორად წყვეტდნენ, თუ როგორ უნდა წაეყვანათ ძიების საქმე.

ზოგიერთ საჭირო წერილს დამნაშავის საქმეში აკრავდნენ, როგორც ნივთმტკიცებას, რითაც დანაშაულის ფაქტი მტკიცდებოდა.

საგენტურო მუშაობის ხელწერაში ამგვარი ამბავიც შეინიშნებოდა, აგენტს შეცვლილი გვარით შეუშვებდნენ სხვა საკანში, სადაც იგი სცემდა ობიექტს და თავის საკანში აბრუნებდა თუკი ობიექტი იჩივლებდა, მას ყურადღებას არავინ აქცევდა. **ხოლო თუ სასამართლო კერძო განჩინებას გამოიტანდა ან ვინმე დაინტერესდებოდა ამ ამბით, მაშინ ადმინისტრაცია ოფიციალურად, წერილობით უპასუხებდა, რომ ამგვარი ფაქტი არ მტკიცდება, რადგან ობიექტის მიერ დასახელებული კაცი, რომელმაც იგი თითქოს სცემა, მეორე კორპუსში და საერთოდ ჩვენს ციხეში არ იმყოფება.**

**ფაქტი ხდებოდა, მაგრამ მისი დამტკიცება არავის შეეძლო: სხვა საკნიდან შეუშვებდნენ აგენტს ობიექტის გასალახად, ხოლო ის აგენტი, ობიექტთან რომ იჯდა საკანში, ვითომ იცავდა მას. ამნაირი მოქმედებით იგი ობიექტის ნდობას იხვეჭდა და საქმეს ხსნიდა. აგენტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ბინძურ საქმეებზე, რუსეთში გზავნიდნენ. ხოლო დათანხმების შემთხვევაში ყველაფერს უსრულებდნენ. ხშირად სასჯელსაც კი უხსნიდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ საგენტურო დამუშავების მეთოდიკაში ხელმძღვანელობა უშვებს ყოველნაირ საშუალებას, რათა აიძულონ ობიექტი აღიაროს დანაშაული. მათ წინააღმდეგ იყენებენ ნებისმიერ საშუალებას, ყოველნაირ მახეს. საჭიროების შემთხვევაში ისინი არ ერიდებოდნენ ობიექტის აგენტად ქცევასაც, რათა გაეჩუმებინათ იგი საკუთარი თავისა და ცოდვების მიმართ.**

აგენტიც ხომ პატიმარია და თავისუფლებისათვის ყველაფერზე მიდის, ყურს უგდებს თავის შეფებს და ყველაფერს უსრულებს (ხანდახან საკუთარი სიცოცხლის რისკითაც კი).

...ბული ვიყავი. ამნაირად შევყავდათ ობიექტები შეცდომაში და ჩემდამი ნდობას აღუძრავდნენ. აგენტურული მუშაობის ყველა მეთოდის აღსაწერად ქაღალდი არ მეყოფა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მოგითხრობთ ჩემს მიერ ობიექტების დამუშავების ამბავს.

დამაკავშირებელ-კონტროლიორებს, რომელთაც ოპერ-განყოფილების დავალებით პატიმართა სახლებში ან მათ ნათესავებთან წერილები მიჰქონდათ, ფულს უხდიდნენ, ეს ამბავი ოპერ-განყოფილებამ იცოდა. უფრო მეტიც, თანხის უდიდეს ნაწილს თავად ოპერ-განყოფილების მუშაკები ითვისებდნენ იმ საბაბით, თითქოს ეს საქმისათვის, ობიექტის გამოვლენისათვის იყო საჭირო. 1972 წლის აგვისტოდან 1973 წლის ივლისამდე უამრავი ობიექტი დავამუშავე. ძნელია მათი ჩამოთვლა, ბევრი მათგანი აღარც მახსოვს, მაგრამ აღვწერ ზოგიერთს, რომლებიც დამახსომდა.

1972 წლის სექტემბერში ჩემთან დასამუშავებლად მეოცე საკანში ჩასვეს გრიშა დოლოიანი (ქურთი). იგი ეჭვმიტანილი იყო ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნიდან" 37000 მანეთის მითვისებაში. იგი მტვირთაველის ბრიგადირად მუშაობდა. მიწერებისა და ხელფასის გაზრდის საშუალებით მიითვისა მან ეს თანხა. დოლოიანი მარტო როდი მოქმედებდა, მაგრამ თანამონაწილეები ცნობილი არ იყო. არც მისი მუშაობის მეთოდი იყო დადგენილი, თავისი ბრიგადით დოლოიანი „საქმეტვირთავს" ეკუთვნოდა.

დამუშავებისას დოლოიანი ცოლთან მიწერ-მოწერისას ჩავითრიე. წერილები მიჰქონდა დამაკავშირებელ ვალერი მელქოიანს. მახეში გაბმულმა დოლოიანმა ყველაფერი აღიარა და სხვა საქმეებიც გახსნა: ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისა, მექრთამეობისა და ოქროთი სპეკულაციისა.

დოლოიანის წერილები გადაეცა გამომძიებელ ელგუჯა ჩხარტიშვილს. ასე გამომჟღავნდა ეს ბანდა.

მკვლელი ფოლადოვი ჩვენ დავამუშავეთ მისივე თანამონაწილესთან აქვე, ციხეში, მანაც ყველაფერი აღიარა, რის შემდეგაც მონახა ნივთიერი საბუთიც — იარაღი, კორპუსებს შორის დამაკავშირებელი იყო ვინმე კონსტანტინოვი.

ჩემთან შემოაგდეს აგრეთვე ხარაგოულელი ბოტაძე, რომელიც დავაკავშირე თანამონაწილე გოგავასთან და დანაშაული ვაღიარებინე: მათ ქრთამი გამოსძალეს ვიღაც პენსიონერს.

პროკურორ ლეჟავასა და მისი ძმის მითითებით, როგორც მე მითხრეს, **თვითონ ე. შევარდნაძის დავალებით ჩემთან შემოუშვეს ობიექტი რომან ენუქიძე, რომელიც ცხვარიჭამიაში საბაღე ნაკვეთების გამნაწილებელთა ჯგუფის წევრი იყო (საკოორდინაციო ჯგუფი), ლეჟავა, სვიმონიშვილი და სხვებიც შემპირდნენ, რომ ამ საქმის გახსნის შემთხვევაში გამათავისუფლებდნენ, რადგან თვით შევარდნაძეს მოჰგვა სიტყვაო.**

მთელი ძალები დავძაბე ობიექტ ენუქიძის დამუშავებისათვის. მას წინდაწინვე უთვალთვალებდნენ. იგი საკუთარ სახლთან დავაკავშირე, დავარწმუნე ყოველივე ეღიარებინა და დოლოიანისა და ბოტაძის მსგავსად აღიარებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, შევარდნაძესთან გავეგზავნე.

ენუქიძემ მინისტრთან ყველაფერი აღიარა, დაასახელა ყველანი, ვისაც მიწები გამოუყო, თბილისის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები და ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხალხი, ჭანუყვაძისა და მჟავანაძის ჩათვლით.

სვიმონიშვილის დავალებით მე გავიშიფრე ენუქიძის წინაშე, რის შემდეგაც იგი აგენტი გახდა და ჩვენ გვეხმარებოდა. ენუქიძე სპეციალურად აქციეს აგენტად, რათა საკუთარი თავისა და ცოდვების შიში ჰქონოდა და მომავალში თავისი ჩვენება აღარ გადაეთქვა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილის პ. ვ. კოვალჩუკის თხოვნით მე დავამუშავე ობიექტი თორაძე, რომელმაც ქრთამი მისცა მინისტრის მოადგილეს ჩხიკვიშვილს. თორაძეს ყველაფერი ვაღიარებინე და ჩხიკვიშვილი დააპატიმრეს, ძიება მიჰყავდა წაქაძეს.

დამაკავშირებელი მელიქიანი მოხსნეს და მის მაგიერად მოიყვანეს ჯანგიანი. იუზა ჯანგიანს წერილები მიჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებულ საქმეებზე და საკითხებზე რაიონებში წერილები მიჰქონდა. ე. ლხინაძეს, ოპერ-განყოფილების მუშაკს, რომელიც სახლში მივიდა ქ. მიტიჩაშვილთან ველისციხეში.

სვიმონიშვილმა და ლეჟავამ პირდაპირ საავადმყოფოდან შემოსვეს ჩემთან მიტიჩაშვილი, პიჟამის ამარა, თითქმის შიშველი შუა ზამთარში (სპეციალურად). უნდა აღვნიშნო, რომ ობიექტებს აღიარებისათვის მხოლოდ მინისტრთან როდი ვუშვებდი, არამედ ლეჟავასთან და სვიმონიშვილთანაც.

**მ...ზე[1] ამგვარი დავალება მივიღე: ნებისმიერი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული, რათა მინისტრთან, შევარდნაძესთან წავიდეს აღიარებაზეო.**

[1] მ...ი, როგორც შსს-ს ბოროტმოქმედებათა საქმეში მოწმე, როსტოვის ციხეში გადაგზავნეს და იქ მოაკვლევინეს 1974 წელს „შემთხვევით" მომხდარ ჩხუბში.

მთელი სამი თვე ვიწვალე აღიარებამდე[1] მიყვანილი ოთხჯერ გავგზავნე ლეჟავასთან და სვიმონიშვილთან, მაგრამ ბოლო მომენტში უარზე დგებოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა დავარწმუნე მ....ი, რომ აღიარება დაეხმარებოდა და რომ მის ვაჟსაც არ გამოაგდებდნენ სამედიცინო ინსტიტუტიდან. ამის შემდეგ მან იარაღი დაჰყარა და ყველაფერი უამბო მინისტრს. ეს საქმე საფეხურებით ჯავახაძემდე ავიდა. მ...ი სალარიძის მეშვეობით ქრთამს აძლევდა გელბახიანს და სამედიცინო ინსტიტუტში აწყობდა თავის კახელებს ჩუმლაყიდან, ველისციხიდან, გურჯაანიდან და ა. შ. 50 000 მანეთად მ....მ თავისი სამი შვილი სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე მოაწყო.

შემდეგ მორიგი დავალება მივიღე მ....ზე: ყველანაირი საშუალებით უნდა მეიძულებინა იგი, რათა სახელმწიფოსათვის 50 000 მანეთი ჩაებარებინა. ეს საჭირო იყო როგორც ნივთიერი მტკიცება. აქ დაიწყო ნერვების აშლა: მ....ი სახლში აგზავნიდა წერილებს, რომლებითაც ითხოულობდა ხან 5 ათას მანეთს, ხან 10 000 და არა 50 000.

დამავალეს მეცემა იგი და ამნაირად მიმეღწია საწადელისათვის, მას ვცემდით მე, ელოიანი და სააკიანი. ვცემდით სამუშაო ოთახში, მუშაკ კონსტანტინოვის თანდასწრებით. ვახდენდით აღიარებისა და წერილის გამოძალვას.

ბოლოს მ....მა ჩვენი თანდასწრებით დასწერა წერილი ძმის სახელზე და კვლავ 5 ათასი მანეთი ჩასწერა. წერილებს ფროლოვსა და სვიმონიშვილს ვაბარებდით.

საკნიდანვე მისწერა წერილი მ....მა ცოლს, სადაც სწერდა, რომ აუზთან, ცელოფანში გახვეული 50 000 მანეთი მაქვს ჩაფლული, ერთი კვირის შემდეგ კი განცხადება დასწერა მინისტრის, ე. შევარდნაძის სახელზე და უკანონო გზებით ნაშოვნი ფულის ადგილსამყოფელი მიუთითა. ამით დავამთავრე მ...ის დამუშავება. საავადმყოფოში და 41-ე საკანში მას ამუშავებდნენ აგენტები: პეტროსიანი და ინაური.

სასამართლოს შემდეგ, გელბახიანის საქმეზე 44-ე საკანში მ....ის შვილს ამუშავებდნენ აგენტები: რეხვიაშვილი და როსტოვი, ხოლო შემდეგ, 43-ე საკანში აგენტები: კოსტავა და კამკამიძე. მ...ის აგენტურული დამუშავება გრძელდებოდა მატარებელშიც, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით არაფერი ვიცი.

მ.....ის დამუშავების პარალელურად ათამდე სხვა საქმეც გავხსენი: სალაროს გაძარცვისა, მასწავლებლის მკვლელობისა, მექრთამეობისა და ა. შ.

მ....ს რომ ვამუშავებდი, ჩვენთან იმყოფებოდა კარლო წულაია[2]. წულაია დავამუშავე, მან ყველაფერი აღიარა და ისიც აგენტად ვაქციეთ, მან ოცამდე საქმე გაუხსნა სვიმონიშვილს (მათ შორის აბრამიანსაც), წულაიას მეც ვაძლევდი დავალებებს და ისიც ასრულებდა ჩემს დავალებებს. დამუშავებისას წულაია ნდობაში შევიდა დამაკავშირებელ ჯანგიანთან და ამის მეოხებით მან კავშირი დაამყარა მეუღლესთან და ახლობლებთან.

წულაია ციხეშივე წერილებით დავაკავშირეთ პატიმარ ქარდავასთან. ისინი უამრავ წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. ამ წერილებს ფროლოვსა და ოლეგ თორთლაძეს ვაძლევდით. წულაია სწერდა ქარდავას, რომ 10 ათას მანეთს მისცემდა, თუკი იგი არ იტყოდა, რომ ქრთამი ჰქონდა მიცემული მისთვის.

გარდა ამისა, წულაიამ წერილი მისწერა საკუთარ მეუღლეს, სადაც სთხოვდა, რომ 10 ათასი მანეთი მიეცა ქარდავას ცოლისათვის. ეს წერილი და სხვებიც თორთლაძემ აიღო. წულაიას ცოლს ფულის გადაცემისას დაადგნენ თავზე.

ამჟამად წულაია სიცრუესა და საზიზღრობას სწერს და ამგვარად ცდილობს თავის დაძვრენას. იგი მაშინაც ათასნაირ საჩუქრებს აძლევდა აგენტებს და დახმარებას სთხოვდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაედასტურებინათ, თითქოს მას სცემდნენ და ამგვარად აიძულებდნენ დანაშაული ეღიარებინა[3].

წულაიას დიდი ხალხი ჰყავს ცეკაში, მათი დახმარების იმედი აქვს, წერს ანონიმურ წერილებს, საზიზღარ ცილისმწამებლობას ეწევა. იგი ნამდვილი გამომძალველი და მექრთამეა. სწორედ ნადარეიშვილი ცდილობს დაეხმაროს წულაიას, ამიტომ მადანაშაულებს და იმედი აქვს, რომ მე თავად დავეხმარებოდი წულაიას. ამისათვის მან დიდი მოგება ნახა წულაიასაგან. ელოიანისა და სააკიანის დახმარებით ქარდავაც აგენტად აქციეს, მაგრამ შემდეგ იგი საკნიდან გაიქცა. ყველანი გაშიფრა და მთელი საგენტურო მუშაობა გამოამჟღავნა.

როდესაც სიმართლე დავადგინე, ქარდავამ გაიგო ეს ამბავი და 10 ათას მანეთს შემპირდა, მაგრამ მე უარი ვთქვი ფულზე.

ადმინისტრაციის დავალებით ჩვენ ობიექტებს ერთმანეთის წინააღმდეგ ვაქეზებდით, ისინიც ჩხუბობდნენ, რითაც კვალს ვურევდით, რომ არ გაეგოთ ნამდვილი აგენტების ვინაობა და არ გაეთქვით. ობიექტი ტაბიძე სპეციალურად ჩასვეს ჩემთან აგენტებთან ერთად. აგენტები იყვნენ: ელოიან-არჩვაძე[1], ჰუბაბრია-ბიბილეიშვილი, მე და ვაჟა ფერაძე, ფროლოვის დავალებით ელოიანს ტაბიძე უნდა გაეპედერასტებინა, თუ კი იგი არ გამოტყდებოდა 1972 წლის 15 სექტემბერს პიტაშვილის ქ. № 21-ში ჩადენილ მკვლელობაში. მოჰკლეს ბებია და შვილიშვილი გოგონა, ჩეჩელაშვილები. ელოიანი დავალების შესრულებას შეუდგა, ჰუბაბრია სცემდა ტაბიძეს ქურდების სახელით, რადგან ვითომ მისი გულისათვის ქურდებს აწვალებდნენ და თითქოს ქურდებმა ბრძანეს ტაბიძის გაპედერასტება, თუკი იგი არ გატყდებოდა.

ტაბიძემ ტირილი დაიწყო და შველას მთხოვდა. შემეცოდა და აგენტებს მისი გაპედერასტება არ დავანებე. ამაზე ფროლოვი გაბრაზდა და მისაყვედურა: ტაბიძე აუცილებლად უნდა გაგვეპედერასტებინათო. მას შეეშინდებოდა, რომ მისი გაპედერასტების ამბავს მთელი ციხე გაიგებდა, ამიტომ გამოტყდებოდა მკვლელობაში, და ჩვენც აღარ გავამჟღავნებდით მისი გაპედერასტების ამბავს.

გივი ქორიძემ ლხინაძის თანდასწრებით პირადად დამავალა მეცემა ოლეგ ტაბიძე, რადგან მან ქორიძის ნათესავის, ჭეჭელავას ბინა გაქურდა, მაგრამ დავალება არ შევუსრულე: ისიცა და სხვებიც პირადი ინტერესებით ხშირად გვავალებდნენ ამა თუ იმ პატიმრის ცემას.

კარგი საგენტო მუშაობისათვის № 1 საგამომძიებლო იზოლატორის ადმინისტრაციამ, პირადად სვიმონიშვილმა და ლეჟავამ, 1973 წლის 27 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში კეთილაძის ხელმოწერით ჩემზე შუამდგომლობა აღძრეს. სახელდობრ, №1/0076-ისათვის ისინი სთხოვდნენ ჩემს გათავისუფლებას, ე.ი. დარჩენილი სამი წლის პატიებას.

**რადგანაც დავიღალე და მუშაობა აღარ შემეძლო, რადგანაც ნერვიულად დაავადმყოფებული ვიყავი, არაერთგზის მოვითხოვე კორპუსიდან გადაყვანა, მაგრამ არ მიშვებდნენ. არ მიშვებოდნენ.** იძულებული გავხდი ბარგიანად გავსულიყავი კორპუსიდან და 1973 წელს საავადმყოფოში დავწოლილიყავი. ვიწექი 127-ე პალატაში. მოულოდნელად გამომიძახეს პანფილოვმა და ფროლოვმა ლეჟავას თხოვნით, როგორც შემდეგში თავადვე მამცნეს, მომცეს ასეთი დავალება:

(აქ ცირეკიძე ჰყვება, თუ როგორ უვნებელჰყო მან საკანში გააფთრებული პატიმარი ო. შამბერიძე, რომელსაც დანა ჰქონდა, იჭრიდა თავს და ჰრიდა სხვებსაც. მას ბორკილები დაადეს და სცემეს.)

საავადმყოფოში პატიმრებს შიმშილობა ჰქონდათ გამოცხადებული, და ვერავინ შესძლო მათი დამოკვება. ციხის საავადმყოფოს ექიმებმა მუდარა დამიწყეს, რის შემდეგაც ციხის ადმინისტრაცია და მე ძალით ვაჭმევდით პატიმრებს ზონდებით.

შემდეგ სპეცკორპუსში ატყდა აურზაური: პატიმრები ყვიროდნენ და მათი დაწყნარება ვერავინ შეძლო. ეს მოხდა გვიან საღამოთი. ჩემთან მოვიდნენ საავადმყოფოში და მთხოვეს პატიმრების დაშოშმინება. **მოკლედ ყველგან და ყველაფერში მიყენებდნენ.**

საავადმყოფო ნამდვილ საროსკიპოდ იყო გადაქცეული. პატიმრები მედიცინის დებთან და პატიმარ ქალებთან ცხოვრობდნენ.

**მოულოდნელად გადამიყვანეს უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში,** სადაც ვამუშავებდი ობიექტ ალიოშა სოხაძეს, „ქეკას", ანუ ვარაზისხევში კოოპერატიული ბინების მშენებლობის საქმეზე (ყალიჩავას საქმე). სოხაძე პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ყოფილი მდივანი იყო.

უშიშროების კომიტეტიდან დაბრუნებული კოლონიაში გადაყვანას ვითხოვდი, სადაც გამგზავნეს კიდეც ორჯერ, მაგრამ კოლონიაში არ მიმიღეს: ცირეკიძე გაშიფრული აგენტია და მოჰკლავენო.

(ცირეკიძე აქ ჩამოთვლის თავის ობიექტებს: ენვერ ხურცილავას, იმერლიშვილს, ვახანიას და ა. შ.).

1973 წლის 19 სექტემბერს გავიგე, რომ განთავისუფლების ნაცვლად ჩამომაკლეს ორი წელი. გაბრაზებული წინასწარი პატიმრობის საკნებიდან ციხეში გადავედი. დავსვი საკითხი, რომ მეკუთვნის ჯანდარა, რასაც სვიმონიშვილი შემპირდა ადრე.

მოულოდნელად ბექანიშვილის კაბინეტში გამომიძახა ჩემმა შეფმა ტარიელ თავართქილაძემ და მთხოვა ორი ობიექტის დამუშავება მკვლელობის საქმეზე. იგი მპირდებოდა, რომ თუ ამას გავაკეთებდი, თავად სთხოვდა მინისტრს და პრეზიდიუმში ხელახლა დასვამდნენ საკითხს, რათა ჩემთვის დარჩენილი რვა თვე ეპატიებინათ.

დავთანხმდი და გავყევი მე-40 საკანში, სადაც შემოიყვანეს აგენტი წერეთელი და ობიექტი მალხაზ თალაკვაძე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ვინმე ებრაელი ისროს (პედერასტი) მკვლელობაში, რაც ქ. ფოთში მოხდა. თალაკვაძის დამუშავებისას, რაშიაც უშუალოდ ფროლოვიც მონაწილეობდა, ჩემს საკანში დავალებით შემოუშვეს აგენტები: უსუპიანი, აკოფიანი და ზერეკიძე. უსუპიანი იჯდა 37-ე საკანში, აკოფიანი და ზერეკიძე 39-ში. თალაკვაძე სცემეს უსუპიანმა და აკოფიანმა და აღიარება გამოსძალეს. მან ეს აღიარება დასწერა და მე იგი პირადად გადავეცი ბექანიშვილს.

ფროლოვმა როგორც კი გაიგო, რომ თალაკვაძემ დასწერა ყალბი ჩვენება, კვლავ დაავალა უსუპიანს მისი ცემა. 1973 წლის 21 ოქტომბერს, კობლიანიძის ცვლის დროს, უსუპიანი შევიდა 42-ე საკანში, გამოიყენა მომენტი იქ სამი აგენტის ყოფნისა (იცოდა, რომ საშიშროების შემთხვევაში აგენტები დაიცავდნენ), მაგრამ სცემა თალაკვაძე და თავის საკანში დაბრუნდა.

23 ოქტომბერს უსუპიანი და აკოფიანი შეცვივდნენ 43-ე საკანში და ობიექტების ცემა დაიწყეს. ერთს საბანი წაართვეს, რომელიც მე დავუბრუნე პატრონს.

უსუპიანი თავისუფლად შედიოდა ყველა საკანში და სხვა აგენტების მსგავსად ადმინისტრაციის დავალებით ობიექტებს სცემდა. სასტიკად სცემა მან 44-ე საკანში შირინიანი. **ქელბაქიანი და გვენცაძე უსუპიანმა სცემა რკინით. დაუზიანა შიგნეულობა, რის გამოც ქელბაქიანი მთელი კვირა იწვა.**

43-ე საკანში უსუპიანმა სცემა ტოშკერია, აიძულა ლოგინის ქვეშ შემძვრალიყო და ემღერა.

თავისი საკნიდან (37) უსუპიანი ხშირად გადადიოდა 39-ე საკანში, სადაც სცემდა ობიექტებს და აკოფიანთან ერთად მორფს იკეთებდა. მთვრალმა უსუპიანმა, რომელიც ფროლოვმა დაათრო, სცემა აგენტი გურგენ ხაჩატურიანი, რადგან იგი ფროლოვზე ყბედობდა, რომ ეს უკანასკნელი არასწორად მუშაობს და მექრთამეაო.

ხაჩატურიანის კივილი მთელს კორპუსში ისმოდა, მაგრამ ყველას თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი გაეგონოს. მაშინ მე შევედი და გამოვგლიჯე იგი ხელიდან უსუპიანს.

უსუპიანმა სცემა აგრეთვე მოხუცი ბიგვავა და აღიარება გამოსძალა ჩაის საქმეზე. უსუპიანი როდესაც მთვრალი იყო ან ანაშა ჰქონდა მოწეული, გონებას ჰკარგავდა და ანგარიშს არაფერს უწევდა.

მინდა აღვნიშნო, რომ სპეცკორპუსში უსუპიანი განსაკუთრებული სისასტიკით სცემდა ობიექტებს, ცხადია, ადმინისტრაციის იმედით, რადგან ისინი მუდამ შველოდნენ მას. ამას ყველა კონტროლიორი დაადასტურებს: კლაპტრიშვილი, ჯანგიანი, ლხინაძე. ერთხელ ლხინაძემ ჩემი თანდასწრებით უთხრა ფროლოვს: რატომ სცემს ასე სასტიკად უსუპიანი ობიექტებსო, ფროლოვმა უპასუხა: ასეა საჭიროო.

**პატივცემულო მოსამართლენო! აი, როგორ დავალებებს აძლევდა ადმინისტრაცია აგენტებს, რასაც აგენტები მონდომებით ასრულებენ.**

(შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ სცემა რეჟიმის უფროსმა პანფილოვმა პატიმარი კობერიძე და დეტალურადაა აღწერილი პატიმარ ისმაილოვის მკვლელობა (გვ. 86-101), რისთვისაც ცირეკიძე და უსუპიანი გაასამართლეს. ამის შესახებ იხ. სასამართლო სხდომის ოქმი № 2254 საქმეზე, 1975 წელი, 1-9 აპრილი).

საქმე № 2254-ის მეოთხე ტომში პატიმარ-აგენტის ი. ცირეკიძის სხვადასხვა განცხადებებია. მოგვყავს იქიდან ამონაწერები:

განცხადება საქ. შსს მინისტრის, კეთილაძის მიმართ 1974 წ. 15 ივნისი (გვ. საქმისა 234-237).

„აგენტები დადიოდნენ სხვა საკნებში და სცემდნენ ობიექტებს".

„ფროლოვი (ოპერ-რწმუნებული) ეწეოდა ფულის გამოძალვას, როგორც აგენტებისაგან, ასევე მათი ნათესავებისაგან".

„როგორც საქმისათვის, ასევე პირადი ინტერესებისათვის, ფროლოვი აიძულებდა აგენტებს გაელახათ ობიექტები, აიძულებდა ობიექტებს ფულის მოტანას (ისინი სწერდნენ წერილებს ახლობლებსა და ნათესავებს. ეს წერილები მილიციის მუშაკებს მიჰქონდათ და უკან ფულით ბრუნდებოდნენ)".

„ფროლოვმა სპეციალური მეორე კორპუსი ცემა-ტყეპის, სეირნობისა და პროსტიტუციის ალაგად აქცია. კორპუსში პატიმართა გალახვის ასზე მეტი ფაქტი აღირიცხება, მაგრამ ამისათვის არავინ დაუსჯიათ".

„ლეჟავას (საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი) სურდა პატიმარ ისმაილოვის მკვლელობის ფაქტის დაფარვა, მან და გამომძიებელმა ონანოვმა ფაქტის დასაფარავად საქმიდან ამოგლიჯეს ჩემი პირველი ჩვენება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ საქმეს მე ავიღებდი საკუთარ თავზე. მათ მცემეს და ორჯერ მომიწყვეს გაქცევა, რათა მოვეკალი".

შემდეგ ცირეკიძე სწერს, რომ ქალაქის პროკურატურის გამომძიებელი გიორგი (ყორა) გეგელია („კგბ"-ის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი) ხედავდა, რომ ცირეკიძე ჯიუტობდა და შსს-ს ბოროტმოქმედებებს ამხელდა. ამიტომ, მან ცირეკიძის წინააღმდეგ აიღო კურსი და ცდილობდა მთელი დანაშაული მისთვის მიეწერა. ცირეკიძე სწერს: **„გეგელიას მალე დაავიწყდა როგორ ვეხმარებოდი „კგბ"-ში. ახლა მას სჭირდებოდა უსუპიანი" (ცირეკიძის საქმის თანამონაწილე რედ.).**

ცირეკიძე სწერს აგრეთვე, თუ როგორ იქცეოდა საკანში დურუ ხურცილავა, გასაოცარი ძალის პატიმარი, ნახევრად შეშლილი, რომელიც მუშტის ერთი დარტყმით საკნის კარებს ამსხვრევდა. შემდეგ მან მოჰკლა რამდენიმე პატიმარი და მეთვალყურე, იგი დახვრიტეს.

**განცხადება რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ო. ჯიბლაძის სახელზე (ოქმის გვ. 227).**

აქ მოთხრობილია, თუ როგორ ცემა აგენტმა ვ. უსუპიანმა 37-ე საკანში, პატიმარი ვიტალი კუხიანიძე, დაუზიანა მთელი შიგნეულობა, ხოლო ექიმი ციალა აჭსერცევა ყალბ დიაგნოზებს სწერდა ჟურნალში. კუხიანიძემ შიმშილობა გამოაცხადა, რათა უსუპიანისათვის მოეშორებინათ, რის შემდეგაც იგი 41-ე საკანში გადაიყვანეს, სადაც იგი ჰყვებოდა, თუ როგორ სცემდნენ მას მ. პ. თავხელიძე, ი. მურუსიძე და სხვ.

**„აგენტი უსუპიანი 1972 წლის სექტემბერში გადაიყვანეს თბილისის უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორში, სადაც მან სცემა პატიმარი გაბიჩევი. გაუტეხა თავი, რის შესახებაც იცის „კგბ"-ს გამომძიებელმა, პოდპოლკოვნიკმა კამკამიძემ.** ამის შემდეგ უსუპიანი გადაიყვანეს შსს-ს № 1 საგამომძიებლო იზოლატორში (საქმის გვ. 360)".

განცხადებაში საქართველოს პროკურორის ე. ტაკიძის სახელზე: (1974 წელი, 18 ივნისი), „გამომძიებელ ნადარეიშვილს იმგვარად მიჰყავს საქმე, რომ დაჰფაროს შსს-ს ბოროტმოქმედებანი. **იგი მეუბნება, რომ შსს ყველაზე ძლიერია, ცეკაზედაც კი და შენ ვინა გდიხარ, საწყალი პატიმარი".**

არის კიდევ ერთი განცხადება კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს სახელზე (1975 წ. 5 მარტი). გვ. 6: „უნამუსო და ჩლუნგმა ადამიანებმა, ორგანოთა მუშაკებმა, ჩემს ცხოვრებაში ბავშვობიდანვე დარგეს „ბოროტების ფესვი", რომელიც დღემდე ღვივდება და რომლის მსხვერპლიც ამჟამად ვარ.

**გვ. 12, ფროლოვი (ოპერ-რწმუნებული). როგორც სიტყვებით, ასევე ტელეფონებითა და ოფიციალური დოკუმენტებით იღებდა დავალებებს ზემდგომი ორგანოებიდან: პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ა. შ. ამა თუ იმ ობიექტის საგენტურო მეთოდით დამუშავებაზე. ამიტომაც არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას საქმის გასახსნელად".**

**გვ. 16: „რესპუბლიკურ საავადმყოფოში „ჩამოსწერეს" საგენტურო დამუშავებისას მოკლული მრავალი პატიმარი, მათზე დგებოდა ყალბი აქტები".**

გვ. 19: „რა უნდა თქვას კაცმა, როცა გახეთქილი მთვრალია საბჭოთა ოფიცერი და თვითონვე სცემს პატიმრებს?"

„ოპერრწმუნებულის კაბინეტში იკრიბებოდნენ აგენტები, შლიდნენ სუფრას, მოჰყავდათ მეძავები და თანამშრომელი ქალები, ამღერებდნენ გიტარაზე, აწყობდნენ გეგმებს პატიმართა ცემაზე, ოპერატიული მიზნებით მამაკაცთა ჰომოსექსუალურ გაუპატიურებაზე და ა. შ. ეს ამბები მრავალ განცხადებასა და ჩვენებაში მაქვს აღწერილი.

**გვ. 22: „ბევრს ლაპარაკობენ ჩილეს მთავრობაზე, საოცრებებს სწერენ ხუნტის რეპრესიებზე. მე კი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ყოველივე დანახულისა და განცდილის შემდეგ აქ ვხედავ მეორე ჩილეს, რომელიც პირველზე უარესია".**

**სასამართლოს სხდომები № 2254 საქმეზე 1975 წლის 2 აპრილის სხდომა,** (პატიმართა დაკითხვა):

დაჰკითხეს მოწმე პატიმარი ვახანია, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებული ცირეკიძე სახეში ურტყამდა პატიმარ ისმაილოვს (მოკლულს).

მოსამართლე ამბობს, რომ ცირეკიძემ გამომძიებელს მოჰპარა თავისი პირველი ჩვენება, თუმცა გაჩხრეკისას ვერ აღმოუჩინეს. ცირეკიძე პასუხობს, რომ პირიქით, ეს თავად გამომძიებელმა ონანოვმა გააკეთა. შემდეგ მან დაუმატა: „როდესაც მე რიჰარდ ზორგეს მეძახოდნენ, იმხანად ყველას ვჭირდებოდი, მაშინ კარგი ვიყავი. რატომ ჩამომიკლო პრეზიდიუმმა ორი წელი, რატომ გამომიცხადეს მადლობა, რატომ **ჩამომართვა პატიმარ კაცს ხელი ედუარდ შევარდნაძემ, თუკი ცუდი ვიყავი? განა ცოტა სასამართლობა მქონია? მრავალი ადამიანი დავღუპე და ბევრი მუშაკი გადავარჩინე".**

მოწმე ზერეკიძემ განაცხადა: „უფროსმა ოპერ-რწმუნებულმა ფროლოვმა მთხოვა ცუდი ჩვენება დამეწერა ცირეკიძეზე და მითხრა, რომ მან ცემით მოკლა კაცი. მე უარი ვუთხარი და ისიც დამეხსნა. პატიმარმა კიკნაძემ, სტეფანიამ და ზიბზიბაძემ ფროლოვის კაბინეტში დასწერეს ჩვენება ცირეკიძის წინააღმდეგ, რისთვისაც ფროლოვი მათ არყითა და ლულა-ქაბაბით გაუმასპინძლდა, თან დაემუქრა: თუ ცუდ ჩვენებას არ დასწერთ, ცირეკიძის საკანში ჩაგსვამთო. ჩვენს საკანში სცემდნენ პატიმარ მამულიანს, აყენებდნენ ძალიან ცხელი შხაპის ქვეშ და ეუბნებოდნენ: „მისწერე სახლში, რომ ფული გამოგიგზავნონ, თორემ შხაპის ქვეშ მოკვდებიო".

ცირეკიძემ შენიშნა: „მამულიანი საგენტო დამუშავების ქვეშ იმყოფებოდა, ჩვენთან მიჰყავდათ პატიმრები, რადგან გამომძიებლებს არ შეეძლოთ კვანძის გახსნა და ჩემისთანა სულელებს იყენებდნენ. ხან დირექტორის, ხან ექსპედიტორის, ხან ქურდის როლში გამოვდიოდი. თუკი ეშმაკობით ვერაფერს გავაწყობდი, ცემაზე გადავდიოდი".

მოსამართლე: „რატომ იქცეოდი ასე?"

ცირეკიძე: „ჯერ კიდევ სტალინი წერდა, რომ აგენტურა აუცილებელია, მე მავალებდნენ".

მოწმე რ. ვანეცოვი: „უსუპიანმა და ბექაურმა სცემეს ისმაილოვი და ფროლოვის კარნახით გადააბრალეს ცირეკიძეს. ფროლოვმა არყით დაათრო კიკნაძე და სტეფანია, რათა მათ ყალბი ჩვენება მიეცათ".

(დასასრული მე-4 გვ.).

---

[1] ცირეკიძემ ძალით დაიჭირა მამათმავლური კავშირი მ...სთან, სცემდა მას გულის წასვლამდე და ა. შ. (იხ. პატიმარ წულაიას საჩივარი).

[2] იხ. დანართი.

[3] თავის სასამართლოზე, 1975 წლის 4 აპრილს, ცირეკიძემ განაცხადა, რომ წულაია ცემითა და წამებით აიძულეს ეღიარებინა დანაშაული. (იხ. ქვემოთ) მისი „აგენტობა" დამტკიცებული არ არის, ეს მხოლოდ ცირეკიძისგან მოდის (რედ. შენიშვნა).

1. სომეხი აგენტები მუდამ ქართულ გვარებს ატარებდნენ „ობიექტების" მოსატყუებლად. ამბობენ, რომ ცირეკიძის ნამდვილი გვარი იყო მარკოზოვი. (რედ. შენიშვნა).

## ინტერვიუ

### საქართველო–სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა:

# გრძელდება საქმიანი კონტაქტები

ჩვენი თანამოსაუბრეა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი მურმან ომანიძე. ახლახან იგი მთავრობის დელეგაციის მეთაურად საქმიან ვიზიტად იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მოგზაურობის მიზნებსა და შედეგებზე, აგრეთვე თავის შთაბეჭდილებებზე იგი ესაუბრება საქინფორმის კორესპონდენტს:

— სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ის ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს ამ ბოლო დრომდე პრაქტიკულად არავითარი პირდაპირი კონტაქტები არ ჰქონია. როგორც ვიცით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საერთაშორისო იმიჯი და საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზა- [illegible]

წრეების წარმომადგენლებთან, და ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო სამხრეთაფრიკელი საქმიანი ადამიანების დიდი პროფესიონალიზმი, გულწრფელი დაინტერესება და თანამშრომლობისათვის მზადყოფნა. ამას ჩვენ ვამჩნევდით ყოველ შეხვედრაზე, რომლებიც, სხვათა შორის, თანამშრომლობის ორმხრივი ინტერ- [illegible]

[illegible] ოდ, აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, და თუ უნარიანად, გააზრებულად გამოვიყენებთ, შეიძლება ბევრ რამეს მივაღწიოთ. ჩვენი მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დიდ კომპანიებთან ეხებოდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ჩვენ გვაქვს ის, რაც შეიძლება შევთავაზოთ პარტნიორებს, და მათი დაინტერესება და მზადყოფნა ჩვენი წინადადებების პრაქტიკული განხორციელებისათვის ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ უნარი შეგვწევს გავატაროთ დამოუკიდებელი, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა.

— გქონიათ თუ არა საქართველოს წინათ რაიმე ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან?

— ამგვარ დონეზე, რა თქმა უნ- [illegible]

[illegible] ბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს დაწვრილებით გააცნეს საქართველოში საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობა. არ მინდა გავაზვიადო, მაგრამ „პირველწყაროდან" ინფორმაციაზე რეაგირება საოცარი იყო. ბევრნი დაჟინებით გვთხოვდნენ უფრო დაწვრილებით გაგვეცნო მათთვის საქართველო, ჩვენი პრეზიდენტი, მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. ყველა სინანულით აღნიშნავდა, რომ ის ცნობები საქართველოს შესახებ, რომლებსაც მოსკოვიდან იღებენ, მრკლებულია, რბილად რომ ვთქვათ, ელემენტარულ ობიექტურობას. პირდაპირ ვიტყვი, საქართველომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის როგორც საქმიანი, ისე პოლიტიკური წრეების გულწრფელი ინტერესი გამოიწვია.

კვლავ და კვლავ დადასტურდა ჩვენი პრეზიდენტის სიტყვები, [illegible] ... პირველები კი ვიყავით. მართალია, ამბობენ, რაც უფრო ადრე იქნება, მით უკეთესიო, მაგრამ ვბედავ ვამტკიცო, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალისხმევის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა იმდენად სისწრაფესა და ოპერატიულობაზე, რამდენადაც ამა თუ იმ ნაბიჯის გააზრებასა და მომზადებაზე. ასე, რომ, თუ მიღწეული შედეგებით ვიმსჯელებთ, ჩვენ არ დაგვიგვიანებია.

— როგორ შუქდებოდა საქართველოს დელეგაციის ყოფნა ადგილობრივ პრესაში?

— საკმაოდ დაწვრილებით. ჯერ არ მიგვიღია ჩვენი ყოფნის შესახებ ადგილობრივი პრესის ყველა მასალა, მაგრამ იყო ძალზე საინტერესო გამოხმაურებანი — ინტერვიუები გაზეთებში, ტელეინტერვიუ. ადგილობრივი ტელევიზიით ტრანსლირებული იყო ჩვენი შეხვედრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის ჩვენი პრეზიდენტის წერილის გადაცემა.

— ბატონო მურმან, ეს არ არის თქვენი პირველი მოგზაურობა საზღვარგარეთ, როგორც თავისუფალი საქართველოს სახელმწი- [illegible]

[illegible] პროცესების შესახებ.

— ბატონო მურმან, თქვენ, რა თქმა უნდა, შეხვდებოდით საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. სახელდობრ, ვის შეხვდით?

— მრავალი შეხვედრა მქონდა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა საქმიანობის სფერო, რომლის წარმომადგენლებთან საქმიანი, საფუძვლიანი საუბარი არ გაგვემართოს. სამსახურებრივი მოვალეობით მიხდება შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი [illegible] მათი ნაყოფი დავინახოთ, საჭიროა დრო. ჩვენ გავაცნობთ საზოგადოებრიობას, თუ როგორ სრულდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, და არა მარტო მასთან, მიღწეული ყველა შეთანხმება.

— ხომ ვერ გვეტყოდით, რით დავაინტერესეთ დიდად განვითარებული ეკონომიკის მქონე ეს ქვეყანა?

— ახლა მრავალი უფიქრდება ამ საკითხს. საქართველოს, უთუ- [illegible] რომელიც ათიათასობით კილომეტრით არის დაშორებული საქართველოს, ჩვენი დღევანდელი პრობლემები?

— სრული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არა აქვთ, და ამ თვალსაზრისით ჩვენმა მოგზაურობამ, უთუოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის დროს ჩვენი დელეგაციის წევრებმა სამხრეთ აფრიკის რესპუ- [illegible] ყოფილი რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ჩვენ ხომ არ დავიგვიანეთ?

— დიახ, მართლაც, იმ რესპუბლიკების დელეგაციათა შორის, რომლებმაც უარი თქვეს სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე, ჩვენ არ ვყოფილვართ პირველები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მაგრამ... ერთ-ერთი პირველები კი ვიყავით. მართა- [illegible] რედ ეს უკანასკნელია საზღვარგარეთელი პარტნიორებისგან ეფექტიანი და დროული დახმარების მიღების გარანტი.

საქართველოს რესპუბლიკაც და დასავლეთის სახელმწიფოებიც თავიანთ პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ არა ილუზიებით, არამედ ცხოვრებისეული რეალიებით. ისინი კი დღეს ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ — ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება.

**ალა კოკაია.**

## წერილი რედაქციას

# მნიშვნელოვანი და ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა

მიმდინარე წლის 8 თვის შედეგებით ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში კვლავ რთულია. მკვეთრად გაიზარდა როგორც საერთოდ, დანაშაულობანი, ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულობანი. ადმინისტრაციული ორგანოების საკმაოდ დაძაბული შრომა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენს მართლწესრიგის მდგომარეობაზე. დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად რესპუბლიკაში კრიმინოგენური კრიზისია.

იბადება კანონზომიერი კითხვა: რატომ ხდება ასე?

როგორც ჩანს, „მუშაობის გააქტიურება და გაძლიერება" უწინდელი გზებით და მეთოდებით საქმეს ვერ შველის. აუცილებელია რადიკალურად შეიცვალოს დამნაშავეობისა და მასთან ბრძოლის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები, აღიკვეთოს ფორმალიზმის ისეთი სახეში ჩამოყალიბება, როგორიცაა ოპერატიული ვითარების ხელოვნური შელამაზება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წერტილი უნდა დაესვას სახელმწიფოს და საზოგადოების ასევე საკუთარი თავის შეგნებულად მოტყუებას, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდება. მხედველობაში გვაქვს დამნაშავეობისა და მასთან ბრძოლის რეალური სურათის დამახინჯება, მართლწესრიგისა და კანონიერების დამახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების რეგულირება მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნისათვის. ყოველივე ამის შედეგად ყოველწლიურად რესპუბლიკაში რეგისტრაციაში ატარებენ მხოლოდ 17-19 ათას დანაშაულს, რეალურად კი იგი რამდენჯერმე მეტია. მაგალითად, ყოველ 100 ათას მოსახლეზე ჩვენში ყოველწლიურად 300-ზე ცოტათი მეტი დანაშაულია ფიქსირებული, სსრ კავშირში 900-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 5000, გერმანიაში 7000-მდე და ა. შ.

საქმე ის არის, რომ ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მომხდარი დანაშაულის აღრიცხვას. მაგალითად, შვეციაში პოლიციელთა საშტატო რიცხვი და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ხელფასი პირდაპირ არის დამოკიდებული რეგისტრირებულ დანაშაულობათა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. ჩვენ კი ათეული წლების მანძილზე დანაშაულობათა მიჩქმალვას „ვებრძვით" ადმინისტრაციულ-დისციპლინური მეთოდებით, თუმცა წინასწარ კარგად ვიცით, რომ იგი დადებით შედეგს არ მოგვცემს.

ამ კრიტერიუმების შეცვლა აუცილებელია და ადვილად შესაძლებელი სწორედ დღეს, როცა ძირეულად იცვლება მთავარი სოციალური ღირებულებანი და მათდამი დამოკიდებულება, როცა არავინ გვაიძულებს შევალამაზოთ სინამდვილე. დამნაშავეობის თუნდაც მკვეთრი ზრდა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა გაკიცხვისა და დასჯის საბაბი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა მოჰყვეს დამნაშავეობასთან ბრძოლის, მისი პროფილაქტიკის ორგანიზაციის გარდაქმნა და სრულყოფა.

შინაგან საქმეთა ორგანოებს უნდა წაეყენოს კატეგორიული მოთხოვნა — აღკვეთოს მუშაობის დრომოჭმული მეთოდები, დაუყოვნებლივ შეიცვალოს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და მისი მდგომარეობის შეფასების მცდარი კრიტერიუმები, მილიციის დაქვემდებარებულ ორგანოებს მიეცეს უკომპრომისო დავალება გადაუდებლად მიიღოს ზომები რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი ყველა დანაშაულის აღრიცხვა-რეგისტრაციისათვის, რათა შეიქმნას კრიმინოგენული სიტუაციის რეალური სურათი, რაც მასთან რეალური, ეფექტიანი ბრძოლის აუცილებელი პირობაა. დანაშაულის შეგნებულად მიჩქმალვის ყოველი ფაქტი უნდა შეფასდეს როგორც კრიმინალი და ამაში დამნაშავე მუშაკი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ამ შინაარსით მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად ადვილად გასატარებელი ღონისძიებისგან რა უახლოეს და სამომავლო შედეგებს უნდა მოველოდეთ? შედეგები იქნება მხოლოდ პოზიტიური და არაერთი ასპექტით. როცა ოპერატიულ მუშაკს ეცოდინება, რომ დანაშაულის მიჩქმალვა გამორიცხულია, იგი თავიდანვე განეწყობა, რომ აუცილებელია მომხდარი დანაშაულის გახსნა. ყველაფერს იღონებს ცხელ კვალზე კვალიფიციურად ჩაატაროს პირველდაწყებითი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებანი, პროფესიული მოწოდებით და კეთილსინდისიერად ეძებოს დამნაშავე. ამ უკანასკნელთა ასეთი შეტევითობა არ გამოეპარებათ. ბოროტმოქმედნი მაშინ და იქ მძლავრობენ, როდესაც და სადაც მილიცია უკან იხევს, და პირიქით. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მომენტი: როცა მილიციის მუშაკები ყველა დანაშაულს კეთილსინდისიერად აღრიცხავენ და იბრძოლებენ მისი გახსნისათვის, საზოგადოების თვალში ერთიორად ამაღლდება ამ ორგანოების პრესტიჟი და მეტი ნდობით და მხარდაჭერით მოეკიდებიან მათ საქმიანობას. და ბოლოს, როცა ზუსტად გვეცოდინება რეალური, შეულამაზებელი ოპერატიული სინამდვილე, ამის შესაბამისად დამუშავდება დამნაშავეობასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის, სამართლის პროპაგანდის ღონისძიებანი, საკადრო პოლიტიკა, საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა და ა. შ.

არის ერთი არსებითი მომენტი, რომლის გამოც მილიციის ყველა მუშაკი როდი იქნება ერთსულოვანი ასეთი გარდაქმნის საქმეში. ეს არის დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. მეტწილად ხომ იმ დანაშაულს ჩქმალავენ, რომელიც გაუხსნელი რჩება. ამიტომ, ცხადია, დანაშაულობათა სრული აღრიცხვით მკვეთრად გაუარესდება გახსნის მაჩვენებლები. ამას ჩვენ წინასწარ უნდა შევურიგდეთ. გაცილებით სჯობს გახსნის სტატისტიკური მონაცემები გაუარესდეს, ვიცოდეთ რეალობა და დამნაშავეს ვეძებდეთ, ვინემ სირაქლემასავით თავი ქვიშაში ჩავრგოთ, საკუთარ თავს ვუმალავდეთ მწარე სინამდვილეს. აქაც შეფასების კრიტერიუმის შეცვლაა საჭირო. ოპერატიულ მუშაკებს პასუხი უნდა მოეთხოვოს არა იმდენად გახსნის მაჩვენებლების მდგომარეობისთვის, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ იმუშავეს კონკრეტული დანაშაულის გასახსნელად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, რატომ ვერ მოხერხდა ბოროტმოქმედის მხილება, მუშაკის დაბალი კვალიფიკაციისა და გამოუცდელობის გამო, მისი დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად, თუ კონკრეტული დანაშაულის გახსნის სირთულის გამო (თუმცა თეორიულად არ არსებობს დანაშაული, რომლის გახსნაც შეუძლებელი იყოს).

დამნაშავეობის მდგომარეობის რეალური და სრული სურათის შექმნა იმისთვისაც არის საჭირო, რომ ვიცოდეთ ჩვენი საზოგადოების კრიმინოგენული დაავადების სიმძიმე და მასშტაბი, თუ რამდენია მკვლელი, ხულიგანი, ქურდი, ყაჩაღი, მძარცველი, თაღლითი, მექრთამე, გამფლანგველი, დამნაშავე ყმაწვილი და ა. შ. თუ შეიძლება ასე ითქვას „მიიღო" ეროვნულმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობად ავბედითი წარსულისგან.

სინამდვილის ცოდნა სულიერ ღირებულებათა სფეროში და ზრუნვა მისი გაჯანსაღებისათვის ხომ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა, თუმცა ისინი მეტწილად ორგანულ კავშირშია.

ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ღირსება იმის მიხედვითაც ფასდება, თუ როგორი სულის, ზნეობისა და სინდისის ადამიანებისგან ჩამოყალიბდება მომავალი საქართველოს საზოგადოება.

**კოკი ნარმანია,**
**საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების უფროსი.**

## საზღვარგარეთ

### მიმართვა დნესტრისპირეთის მოსახლეობისადმი

მოლდოვეთის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა ეროვნული რადიოთი მიმართა დნესტრისპირეთის მოსახლეობას. გამოაცხადა რა დამოუკიდებლობა, თქვა მან, რესპუბლიკის პარლამენტმა დააკანონა ჩვენი ხალხის სანუკვარი ოცნება იყოს დამოუკიდებელი, თავად განაგებდეს თავის ბედს.

დნესტრისპირეთის ლიდერები, აღნიშნა პრეზიდენტმა, უგულებელყოფენ რეალობას, კვლავ ცრუობენ, მოსახლეობაში თესავენ რესპუბლიკის კონსტიტუციისადმი და ხელმძღვანელობისადმი შიშსა და უნდობლობას, შეგნებულად ამწვავებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. მათ გვიჩვენეს თავიანთი ნამდვილი სახე, როცა მხარი დაუჭირეს მოსკოვში სამხედრო-კომუნისტურ პუტჩს. მაგრამ, ცდილობენ რა საკუთარი ტყავის გადარჩენას, დღესაც ისტერიულად აღვივებენ ანტიმოლდოვურ პროპაგანდას, კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ითრევენ ადამიანთა მასებს.

მირჩა სნეგურმა მოუწოდა დნესტრისპირელებს საფუძვლიანად გააანალიზონ თავიანთი მონაწილეობა ამ მოვლენებში, და არ აჰყვნენ იმათ მოწოდებებს, ვინც თვით ისტორიამ უარყო. მხოლოდ მთელი დემოკრატიული ძალების დარაზმვით, აღნიშნა მან, ყველანი ერთად — მოლდოველები, რუსები, უკრაინელები, გაგაუზები, ბულგარელები — შევძლებთ უზრუნველვყოთ მოლდოვეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და პროგრესი.

### ნაციონალიზებულია მოლდოვეთის კომპარტიის ქონება

მოლდოვეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება კომპარტიის ქონების ნაციონალიზაციის შესახებ რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილების განსახორციელებლად. ამ დოკუმენტის თანახმად, შექმნილ კომისიებს ბანკების შესაბამის განყოფილებებთან ერთად დაევალათ უზრუნველყონ მოლდოვეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი საქვეუწყებო დაწესებულებების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების პირველადი პარტიული კომიტეტების განკარგულებაში არსებული მთელი ფულადი სახსრების, მათ შორის ვალუტის, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვა.

დადგენილია, რომ მოლდოვეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი სამეურნეო ორგანოების ქონება უნდა გადაეცეს მოლდოვეთის რესპუბლიკის სახელმწიფო კანცელარიას, პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების ქონება კი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

### გამოვიდნენ მიტინგებზე

მრავალი მიტინგი გაიმართა სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონის ახლომდებარე ოლქებსა და რაიონებში. მიტინგების მონაწილენი მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოიცეს ბრძანებულება პოლიგონის დახურვის შესახებ, სადაც უკვე 42 წელია მიმდინარეობს ბირთვული გამოცდები, აგრეთვე მოისპოს ბირთვული პოლიგონები ყაზახეთის ტერიტორიაზე და რესპუბლიკა გამოცხადდეს დემილიტარიზებულ თავისუფალ სახელმწიფოდ.

ალმა-ათაში, მეცნიერებათა აკადემიის მახლობლად მდებარე მოედანზე დემოკრატიული პარტიების, მოძრაობების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც დასმულია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევის, ყაზახეთის დემილიტარიზებული თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის, რესპუბლიკის ტერიტორიული ურღვევობის საკითხი. ყაზახეთის სსრ სახალხო დეპუტატმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის წევრმა, იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ს. სარტაევმა, რომელმაც ეს განცხადება წაიკითხა, აღნიშნა, რომ ყაზახეთი უარს არ ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ მომავალი კავშირი შეიძლება იყოს მხოლოდ კონფედერაცია.

# რამდენიმე სტრიქონით

**მოლდოვეთის** რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კვლავ რთული ვითარება შეიქმნა ე. წ. „დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში", რომლის რუსულენოვან მოსახლეობას არ სურს მოლდოვეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა, უფრო მეტიც, მათ ფართო საპროტესტო აქცია დაიწყეს „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" თვითმარქვია პრეზიდენტის სმირნოვის დაპატიმრების გამო, რომელსაც პუტჩისტებთან კავშირი ბრალდება. სმირნოვი კიევში დააპატიმრეს და კიშინიოვში ჩაიყვანეს. საპროტესტო აქციის მონაწილენი იმუქრებიან, რომ გადაკეტავენ ტირასპოლში გამავალი გაზსადენის მაგისტრალს, რომელიც კიშინიოვის გარდა რუმინეთსა და ჩეხო-სლოვაკეთსაც ამარაგებს გაზით. მღელვარებაა გაგაუზებით დასახლებულ რეგიონებშიც. მათი მთავარ ქალაქ კომრატში გაგაუზთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ სურთ გაგაუზთა რესპუბლიკის შექმნა.

**ინგლისის** პრემიერმა ჯონ მეიჯორმა მოსკოვიდან გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საბჭოთა ხელმძღვანელები შემპირდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში ბირთვული იარაღის კონტროლი კვლავ მოსკოვის ხელთ იქნებაო.

**ამერიკელ** კომუნისტთა ლიდერმა გეს ჰოლმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა, როდესაც ამერიკაში კომუნისტური წყობილება დამყარდება, მოსკოვის შეცდომებს არ გავიმეორებთო.

**უზბეკეთმა** და ყირგიზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ტაჯიკეთის პრეზიდენტი მახკამოვი კი გადადგა. რესპუბლიკას ამიერიდან ტაჯიკეთის რესპუბლიკა ეწოდება.

**პრეზიდენტ** ბუშის ვიტაუტას ლანდსბერგისთან ტელეფონით საუბრიდან ირკვევა, რომ იგი ლიტვის დამოუკიდებლობის ცნობას გუშინ აპირებდა. სხვა ცნობებით, ბუში ლიტვას მაშინ სცნობს, როდესაც მოსკოვი ამას გააკეთებს.

**ტოკიოდან** მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ იაპონიის საზოგადოებაში და სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებში ძლიერდება ქვეყნის პრემიერის ტოსიკო კაიფუს კრიტიკა, რომელმაც საბჭოთა კავშირში მომხდარი სამხედრო-პარტიული გადატრიალების დროს მერყევი პოზიცია დაიკავა.

**ლატვიიდან** და ლიტვიდან გაყვანილია „ომონი". იუწყებიან, რომ „ომონის" რამდენიმე ათეული ჯარისკაცი ლიტვის ტყეებში იმალება. ორივე რესპუბლიკის ხელისუფლებამ უსაფრთხოების სრული გარანტია აღუთქვეს „ომონის" წევრებს და მათ ოჯახებს.

**კრასნოდარიდან** იუწყებიან, რომ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე კურგანინის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ, სახალხო დეპუტატმა ზოია ბოროვიკოვამ. მან პუტჩის დღეებში დემოკრატიულად განწყობილი პირების მიმართ ადმინისტრირებული მეთოდები გამოიყენა.

**პოლონეთის** მთავრობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იან კშიშტოფ ბელეცკის მეთაურობით გადადგა.

## სხვა გაზეთებიდან

### „უოლ სტრიტ ჯორნელი"

**უოლტერ მოსბერგი**

აშშ, განთავისუფლებული კოლონია, ამჟამად იცავს საბჭოთა კოლონიურ იმპერიას.

აშშ, პირველი კოლონია, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო, დღეს მხარს უჭერს მსოფლიოს უკანასკნელი კოლონიური იმპერიის, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას.

აშშ-ს ეს პოლიტიკური კურსი საჯაროდ დაადასტურა პრეზიდენტმა ბუშმა უკრაინაში ვიზიტის დროს.

„თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერთი და იგივე რამ არ არის", — თქვა მან და დაამატა, რომ მათთვის (უკრაინელებისათვის) ყველაზე უფრო ხელსაყრელია გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც აღადგენდა იმპერიის შემანარჩუნებელ სტრუქტურას.

ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მტკიცებით, პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში მხოლოდ და მხოლოდ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა მშვიდობიანი ცვლილებები და აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობა თავისთავად არ წარმოადგენს თავისუფლების გარანტიას, რომ ადგილობრივი ტირანები შეიძლება უფრო საშიში იყვნენ, ვიდრე გადამთიელები. „მისი სიტყვები უბრალოდ ცუდად გაიგეს", — თქვა ერთ-ერთმა მაღალმა თანამდებობის პირმა.

იმ ერებისათვის, რომლებიც დიდი ხანია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არიან, ახლა კი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვიან, ეს გამოსვლა საბჭოთა კოლონიალისტური პოლიტიკის მხარდაჭერას წარმოადგენდა. ამან შეიძლება გაზარდოს მტრული განწყობილება აშშ-სადმი იმ ერებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის შესაძლო დაშლის შემდეგ წარმოჩნდებიან.

საქართველოს ხელისუფლების საოცრად მკაცრ განცხადებაში ნათქვამია: „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვაშინგტონის, ჯეფერსონის, ლინკოლნის და სხვათა მემკვიდრე, ჩამოდის იმპერიის დედაქალაქში და აგიტაციას უწევს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მოუწოდებს დამონებულ ქვეყნებს, ნებით გაჰყონ თავი იმპერიის უღელში, ხელი მოაწერონ მარადიულ მონობაზე, უარი თქვან თავიანთ წმიდათაწმიდა უფლებაზე — თავისუფლებაზე".

ბატონი ბუშის ამგვარი განცხადება, ქართველ ხელისუფალთა აზრით, იგივეა, რომ „ამერიკელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მე-18 საუკუნეში ვუწოდოთ „სახიფათო ნაციონალიზმი" და „სეპარატიზმი".

აშშ-ს ოფიციალური პოლიტიკა, სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, ასეთია: „1933 წ. როდესაც ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა დავამყარეთ სსრკ-სთან, იგი უკვე შედგებოდა რიგი რესპუბლიკებისაგან, მათ შორის იყო საქართველოც. ჩვენ არც მაშინ, და არც ახლა არ ვსვამთ საკითხს მათი, როგორც სსრკ შემადგენელი ნაწილის, სტატუსის შესახებ. ამასთან, სადავოდ არ ვხდით სსრკ შემადგენლობაში არაბალტიური ევროპული ტერიტორიების შესვლას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ".

ბატონი ბუში ისწრაფვის, ერთის მხრივ, მხარი დაუჭიროს გორბაჩოვს და მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს „სტაბილურობის შენარჩუნებას". ამ პრობლემის არსი კი იმაშია, რომ ბუშის ადმინისტრაცია გულგრილია თანამედროვე საბჭოთა პოლიტიკის ნიუანსების მიმართ.

სტივენ სესტანოვიჩი, სტრატეგიული და საერთაშორისო საკითხების კვლევითი ცენტრის, საბჭოთა ნაწილის დირექტორი, ამბობს: „აშშ პრეზიდენტს ცუდი რჩევა მისცეს, უკრაინაში ჩასვლისას წარმოეთქვა ეროვნული მოძრაობების შეურაცხმყოფელი სიტყვა. გარდა იმისა, რომ იგი უტაქტოდ მოიქცა, ეს გამოსვლა ძალიან ჰგავდა იმ პირის განცხადებას, რომელიც სრულიად არაინფორმირებულია საბჭოთა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ".

ბატონი სესტანოვიჩი თვლის, რომ განცხადება ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ და ამავე დროს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოსვლა საბჭოთა რეფორმატორების კი არა, ძალისმიერი კურსის მომხრეების წისქვილზე ასხამს წყალს. ეს უკანასკნელნი იცავენ რუსი მოსახლეობის „ადამიანთა უფლებებს" არარუსულ რესპუბლიკებში და ქმნიან დაბრკოლებებს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. მიჰყვება რა იმავე კურსს, ბატონი ბუში უნებლიედ სწორედ კონსერვატორებს უჭერს მხარს.

### „ვაშინგტონ ტაიმსი"

**დევიდ ბრაატენი**

**პრეზიდენტმა** ბუშმა გუშინ უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიხეილ გორბაჩოვმა ინსცენირება გაუკეთა კრემლში მომხდარ უიღბლო გადატრიალებას, რომელიც მისი საკუთარი მიზნების მისაღწევად იყო გამიზნული, მაგრამ სოვეტოლოგები არ არიან დარწმუნებულნი ამ არგუმენტის უსაფუძვლობაში.

ბუშმა ქედმაღლური კომენტარი გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებს, რომ შესაძლოა გადატრიალება გორბაჩოვის მიერ იყო ინსცენირებული. ამ არგუმენტს ამერიკის პრეზიდენტმა უწოდა „ცურვა დინების წინააღმდეგ".

პრეზიდენტის ასეთმა შეფასებამ უშიშროების პოლიტიკის ცენტრის თანამშრომლის ფრენკ გეფნის განრისხებული პასუხი გამოიწვია, ბატონმა გეფნიმ, რომელიც იზიარებს საქართველოდან წამოსულ მოსაზრებას გორბაჩოვის შეთქმულებასთან კავშირის შესახებ, განაცხადა: „როგორ შეეძლოთ არმიასა და სუკ-ს ემოქმედათ ასე ტლანქად, თუკი ეს ინსცენირება არ იყო. მათ არ დახურეს გაზეთები და აეროპორტები, უვნებელი დატოვეს გორბაჩოვი. ისინი არ არიან გულუბრყვილო ადამიანები და სწორედ თავიანთი ორგანიზაციის საკეთილდღეოდ მოქმედებდნენ".

გაიხსენა რა ბუშის მოღვაწეობა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, ბატონმა გეფნიმ თქვა, რომ „დაზვერვის ყოფილი აგენტი უკეთესად უნდა ერკვეოდეს ასეთ საქმეებში".

ჯონ რიისი, „ერლი უორნინგის" გამომცემელი, ასევე იზიარებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას პუტჩში გორბაჩოვის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. მისი აზრით, ბუშის მიერ ამ მოსაზრების კატეგორიული უარყოფა ცოტა არ იყოს ისტერიულ ხასიათს ატარებს.

1991 წლის 21 აგვისტოს აშშ უშიშროების პოლიტიკის ცენტრმა დაუყოვნებლივ გასავრცელებლად გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამასწინათ გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ მიხეილ გორბაჩოვი იყო საბჭოთა კავშირში მომხდარი გადატრიალების არა მხოლოდ ხელის შემწყობი, არამედ ერთ-ერთი ინიციატორიც". სი-ენ-ენისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

„მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს გადატრიალება თავად გორბაჩოვის მიერ იყო დაგეგმილი და მან უშუალო მონაწილეობა მიიღო მასში".

პრეზიდენტ გამსახურდიას ეს მოსაზრებანი უკანასკნელ დროს გაიმეორეს სუკ-ის ყოფილმა ოფიცერმა ვიქტორ შეიმოვმა, საბჭოთა კავშირში დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა და თავად გორბაჩოვის ერთ-ერთმა დაახლოებულმა პირმა, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

ამგვარი განცხადებების შემდეგ განცვიფრებას იწვევს პრეზიდენტ ბუშის მწვავე რეაქცია პრეზიდენტ გამსახურდიას სიტყვებზე.

აშშ პოლიტიკის ცენტრის აზრით, პრეზიდენტ გამსახურდიას ალბათ უკეთ ესმის, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში, ვიდრე ჯორჯ ბუშს, ვინაიდან გამსახურდია ერთსულოვნად იქნა არჩეული პრეზიდენტად იმ ხალხის მიერ, რომელმაც ალესილი ნიჩბებით პირველმა იგემა გორბაჩოვისეული დემოკრატიის სიტკბო.

